

345
1904/3



ԱՅԱՍՏԻՒՐ 1904

უფრნალ „ჯეჯილისა“

83.

I კურდლელი და კატა საახალწლო ლექსი — შ. მღვიმელისა	3
II საახალწლო თეთრი კაბა (აზრი პოლონიურიდან) — ა. უუ- მისთაველისა	5
III შობის ხე სოფელში (გადმოკეთებული) — ან. წერეთლი- სა	10
IV ტახტის მემკვიდრე და მათხოვარი (მარკ. ტევენისა) თარგ- მანი — ან. წერეთლისა	17
V სამნი დანი რუსულიდან — ს. ციცაშვილისა	23
VI აღამინის და ცხოველების სისწრატე მოძრაობაში (გად- მოკეთებული) — ი. გოგიშვაშვილისა	27
VII წერილმანი: ამოცანები, სახუმარო კათხები და შარადა.	31
VIII საახალწლო (ლექსი) — დ. თომაშვილისა.	33
I დედის მარჯვენა ხელი (მოთხრობა) — ეკ. გაბაშვილისა. .	35
II დავით აღმაშენებელი — დ. ჭარიშვაშვილისა	49
III ფიზიკური გეოგრაფია (პროფ. გეიგისა) თარგმ.—სანინისა	60
IV № XII „ჯეჯილის“ გამოცანების ახსნა განცხადებები .	67

თანახმათ მათი ყოვლად უსამღვდელოესობის სა-
ქართველოს ეგზარქოსის დამტკიცებისა, თვითლისის სა-
ეპარქიო რჩევამ, 17 ოქტომბერს, 1897 წ. გადა-
წყვიტა ქართული საუმაწვილო უფრნალი „ჯეჯილი“
საქართველოს ეპარქიის სამრევლო სკოლებში მიღე-
ბულ იქმნას სახმარებლათ.




№ I

ქურნალის ეთნოგრაფიული სახელმწიფო განცხადები



ტფილისი

სტამბულის გ. მ. მოგინანციას, № 41 | თუ. თ. მ. როტიპანცა, გო. ც. № 41
1904





Дозволено цензурою. Тифлисъ, 29-го Декабря 1903 г.

პურიძეები და ქატა.

(სახაფუწვევი)



პლოცვა ახალ-წელიწადს
 ჩემს დისწულს ციცუნიასა,
 — შენც ღმერთმა მრავალს დაგასწროს!
 ვახლავარ ჩემსა მიასა!
 მობმანდი, შენი ჭირიძე!
 მობმანდი, შენი გულისა
 თან მოაუთლე ახალ-წელს
 ამბები სიხარულისა.
 გაქარიარულდი, ბიძა!
 ღუმანს დაუდგეს თვალები,

რაცა მაქეს, ტყებილათ მართვი,
ნურაზე მომეკრძალები.

ჯერ აბა ჩაის შევექცეთ,
ჭიქები ავაწყარუნოთ,
მერმე გადავერით შარბათი
და პირი ჩავიტყბარუნოთ.

ხომ იცი, ახალი წელი
სმა-ჭამას გაუჩენია,
გადაჭერ, გული გაშალე,
მტერსაც ნუ მოუწენია.

მაშ გაუმარჯოს, ბიძია,
ახალ წელს — ახალ მალასა
გვაშოროს მტრობას და შერსა,
ცხოვრების ხათაბალისა.

გვიცოცხლოს ეველა მოკეთე
მისაღევ-მოსაღევარი,
მე დამისარცხოს ფინია
და შენ კლარწია მწევარი.

შ. ჭ. მლეიმელი.



საახალწლო თეორი კაბა.

(აზრი პოლონიურიდან.)



ქოფო, ჩემო კარგო, ჩემო ტკბილო
მეგობარო, ოთხშაბათს, ასაღ. წელი-
წად ღამეს უთუოთ ჩენსა მოდი!
უთუოთ, უთუოთ მოგელი! გულ-მეურ-
ვალეთ ემუდარებოდა მართ შორეულ
ნათესავს სოფოს.

— არ შემიძლია, მაროვან! მწუ-
ხარებით ამოიკვნესა სოფომ. ოღონ-
დაც რომ მრიელ მინდა მოსვლა,
მაკრამ... არ შემიძლია...

— რატომ? გაკვირვებით შეეკით-
ხა მართ. აბა, უშენოთ რას გავაწ-
ეობთ! უკვა, თამაში, გართობა ეს
ხომ შენი საქმეა! არა, არა, უთუოთ უნდა მოხვიდე! აბა,
გენაცვა, ხომ კარგათ იცი, რომ უშენოთ ჩენ ვერაფერს
თავს კერ მოვაბამთ!

სოფომ გულმტკივნეულათ გაიღია, მაგრამ ამავე დროს ცრემლებით აევსო მოციმციმე თვალების ქუთუთოები.

— არა, ჩემთ კარგო, უჩემოთაც არა გიშავთ-რა, მსია-რულათ გაერთობით!

— არა, არა, სოფოვან, უშენოთ ჩვენ თამაშს ლაზა თი არ ექნება! უთუთ, უთუთ მოგელი! ნინა, ქეთო, თინა და ელიულც მოვლენ. ჩავიცვათ თეთრი კაბები და ვი-ცეკვოთ, ვითამაშოთ...

სოფო ამ სიტყვებზე შეერთა და მორცხვათ წაიბუტ-ბუტა:

-- მე რომ თეთრი კაბა არა მაქვს!

— ოდონდაც შენ მოდი და, როგორი ფერისაც გინ-და, ისეთი კაბა ჩაიცვი! ერთბაშათ გააწევიტინა სიტყვა მარომ.

სოფომ თავი მირს ჩაღუნა და არა უჩასესა რა მაროს.

— მშვიდობით! მწუხარე სიით განაგრძო სოფომ. ვგო-ნებ, კიდევაც დავიგვიანე, დიდება, ვინ იცის როგორ სწუს!

სოფოს წასვლის შემდეგ დაბრუნდენ სახლში მაროს დედა და დები.

— წარმოიდგინეთ, შესჩივლა მარიმ დებს, — რა უბედუ-რი ვარ! სოფოს რაძენი ვეზვეწე, რაძენი ვეზვეწე საახალ-წლოთ ჩვენსა მოდი-მეთქი მაგრამ რომ ვერა შავასმინე-რა!..

— რატომ არა ჭიშურს მოვიდეს? შეეცითხა მაროს უფროსი და თამარი.

— თეთრი კაბა არა მაქვსო! განა საახალწლოთ უთუოთ თეთრი კაბაა საჭირო! თვალებ-ცრემლიანი ტიკტიკებდა მარო.

— შეიძლება, სოფოს სხვა კაბა სოულებითაც არა აქვს! შენიშნა თამარმა.

— ეპ-კი როგორ შეიძლება! კიდევაც რომ არა ჭიონდეს, დიდედა განა ვერ შეუკრიავს, მორჩა და გათავდა!

— დიდედას სადა აქვს იმდენი შეძლება სოფოს უკველ-წლივ ახალი კაბები უკეროს. სოფო ამ წინაზედაც შემომჩიოდა ერთი კაბის მეტი არ გამაჩნიაო!

— საცოდავი!.. საბრალო სოფო!.. მაშ იმიტომ მეუბნებოდა მოსკლის უარს!.. ღმერთო, როგორ მებრალება, როგორ მეცოდება ჩენი სოფო! გულ-ამოსევნით, ნაწილებ-ნაწევეტათ ისროდა თათოეულ სიტევას მარო.

რამდენიმე წუთის შეძლევ თვალებ-ცრემლიანი მარო თავის საუვარელ დედის ოთახში შეიჭრა.

— დედიო, დედიო, ჩემო საუვარელო დედავ, მართლი მითხარი, განა შესძლოა სოფომ ამ საახალწლოთ ახალი კაბის შეკრვა ვერ მოასერხოს?..

— რა საკვირველია, შეილო, რომ შესაძლოა... სოფო ობოლი ქალია. დიდედას ლუკმა ჰურიც-კი ენატრება და

აბა, შენ თვითონ იფიქრე, უოგელ ბედნიერ დღეს როგორ შესძლებს უკეროს სოფოს ასალი კაბები!

— მე-კი ისე მინდოდა, ისე მინდოდა სოფო თხება-ბათს ჩვენსა მოსულიყო, რომ... რომ...! სოფო ისე მიუ-ვარს, ისე მიუვარს, რომ...! დედიკო რომ ნებას მომცემ-დეს, მე ვიცი, როგორც მოვიქცეოდი!..

— აბა, როგორ მოიქცეოდი! თქვი თამამათ!.. გაამხნე-ვა მარო დედამ.

— ჩემ თეთრის კაბას სოფოს ვაჩუქებდი!

— შენ-კი რადას ჩაიცვამდი! ალექსიანათ შენიშნა დე-დამ.

— ცისფერის, ალისფერის, ვარდისფერის! განა ცოტა კა-ბები მაქვს! ჩემო დედავ, ჩემო მუმუბო, ჩემო, ჩემო უგე-ლავ! მომეცი ნება სოფო ამ საასალწლოთ გავახარო!..

დედას სიხარულისაგან თბალთაგან ცრემლების ნაჯაღუ-ლი წასქდა, მან მაგრათ ჩაიკონა მეტოდში თავისი გულ-კე-თალი ქალი და სიუკარულის კალოთი უურში ჩასხურჩულა:

— კეთილი, ჩემო კარგო! საბრალო სოფოს შებრალე-ბისათვის, დედიკო თრთავ თვალებს გიგოცნის!..

მაროს სიხარულის საზღვარი არა ჭირნდა. პატარა, თმა-სუჭუჭელა მარო უსურვაზის წნელივით დედას უელზე ეხვე-ოდა და, რაც მალი და ღონე ჭირნდა, გატაცებით ჭირ-ნიდა და ჭირცნიდა თავის საუგარელ დედას.

ოთხშებათს, ახალ-წელიწად საღამოს, მართვთან მოე-
ყარათ თავი ჰაწაწერის ტელა გოგონებს და ერთი ჟივილ-ხი-
ვილი გაჭირნდათ. სოფოც ნაჩუქარ თეთრ ქაბაში კოშწათ
მორთული საერთო ფერხულში ჩაბმოდა და სხვებთან ერ-
თათ მხიარულათ და უდარდელათ ეგებებოდა ახალ წელი-
წადს.

ა. ყუმისთაველი.



მოგის ხე სოფელში.



იდი ხანია არ უოფილა ზემო იმე-
 რეთში ამისთანა ხანგრძლივი
 სუსტიანი ზამთარი. ამ თოვ-
 ლიანობაში მეტადრე მიუვალი
 იუო სოფელ გარეჯიში ფარ-
 ნაოზის სახლი. ეს სახლი
 ფრინვლის ბუდესავით მიკრუ-
 ლიუო ერთ კარძზე და შო-
 რიდან ისე მოჩანდა, თითქოს
 რაღაც ნანგრევიაო და შეგ უკავ-უორნის მეტი არავინ ბუ-
 ღობსო. მაგრამ იქ დიდი ოჯახი ცხოვრობდა და უმაწვი-
 ლებს ქივილ-ხივილი გაჭქონდათ, მეტადრე ახლა, როდე-
 საც დიდი მოლოდინის შემდეგ დღესასწაულებიც დაუდგათ.
 დისსახლისი მართა ქალაქ აზგილას გაზრდილი ქალი
 იუო და ქალაქის კვალობაზე ბავშები დაჩვეული ჰყავდა შო-
 ბის ხის გამართვას. ის თავის შვილებთან ერთათ ზრდიდა

ობოლ დისტულებსაც ისე, რომ ბავშები ბლომათ იუკენ და
მსახარულათ ატარებდენ დროს. ახლა როდესაც მოახლოვდა
შობა-ახალ-წელიწადი მათ სისარულს სამზღვარი არ ჰქონ-
და, ისინი წამდაუწუმ ეკითხებოდენ მართას:

— დედილო, დედილო, მე ხომ შაქრის ანგელოზს მა-
ჩუქებ!

— მე ალ მინდა ანგელოზი, ეუბნებოდა სულ ჰატარა,
— მე ცხენი მაჩუქე, ცხენი.

— მე დედოფალი მინდა, უსათუოთ დედოფალი! უვი-
როდა ჰატარა გოგონა.

ბოლოს მიეალერსა ჰატარა ნიკოც და უთხრა:

— მე წიგნი მიეიდე, დედიდავ! და ასე ხან ერთი ჩამო-
ეონწიალებოდა კისერზე მართას და ხან მეორე.

მართას გული ეთუთქებოდა, რადგან გზა და კვალი არსად
იუო, რომ ეუიდვინებინა შობის ხისთვის მორთულობა, ტყბი-
ლეულობა და საჩუქრები. არც ფული შეესწრო, დიდმა ზამ-
თარმა უველას ზარალი მისცა.

ფარნაოზიც საშინლათ მოუსვენრათ იუო, გაუიდული
სიმინდის ფული არ მოუტანეს, ფულისოვის გაგზავნილი
კუციც აქამდის არსადა ჩნდა

— ნამქერმა ხომ არ დამიხრჩო ის კაცი! ამბობდა შე-
წესებული ფარნაოზი.— უსაფარი დამრჩებიან გაუხარებელი
ამ ასალ-წელიწადს.

— რა გრჯოდა, ქალო, რათ დახჩიე ბავშები მაგ იმ-
ბის ხეს! ახლა ხომ შენ თითონ იტანჯები, რომ ვერ უმარ-
ი ავ. რა სჯობდა ჩვენ მეულ ჩვეულებებს. რა ამბით გეგმე-
ბოდით ახალ-წელიწადს: გოზინაუებით, ტკბილივევერებით,
ნაზუსებით და სხვ.; მობის ხე და შობის ხე! ახლა სულ
იმას გაიძახით. ესეც მენი მობის ხე. აუვერლიდა თავის
მართას დაფონებული ფარნაოზი.

უცმათ მოისმა ბავშების ტირილი. დედ-მამა გავარდენ
შესატუობათ თუ რა მოხდა. ჩაწია ბავშები მოუხვიერ მარ-
თას და გულ-ამოსკვნით სლუკუნებდენ:

— ნიკომ გვითხრა, რომ წრეულს შობის ხე აღარ
გვექნებათ. მართალი არ არის განა დედავ?

დედ-მამა დაისედეს ბავშები. თითონ-კი მალიან შე-
წუხებული ცდილობდენ რასმესე გული გადაეყოლათ.

საღამო ჟამი იუ. დაფონებული მართა ფანჯრიდან
გადასცესეროდა ღელეს. ქარს გაჭქონდა ზუზუნი, ხკეტავდა
თოვლს და მიწს გზასე ჩაჭქონდა. ხან-და-ხან მართას ეჩ-
ვენებოდ, რომ თოვლთან ერთაც მისი ხის სახლიც მირსი,
მდინარისკენ მაუქანებოდა. დანკრემილი ფარნაოზიც მიძა-
რიეთ კუთხეში და ჩიბუხს ეწეოდა. ქარის ერთგვარი გულ
სემზარავი ზუზუნი მას ტანში ჭრუანტელს ჰევრიდა. მაგ-
რამ ცდილობდა თავი შეეკავებინა, მაგრა ეთუილიეთ. ორი-
კე ცოლ-ქმარი თითქოს რაღაც უბედურებას მოელოდენ,

აძირომაც როდესაც გამდელი ჯეხ-აკრეფით შემოვიდა ოთახ
ში ერთ-ხმათ შესძახეს:

— რა ამბავია! ავათ ხომ არავინ არის?

— მარიკოს უელმი უჭერს, ძლივსა სუნიქავს!

ცოლ-ქმარი გაფითრებულნი შევარდენ ბავშების ოთახ-
ში. დასწერეს თუ არა ბავშის გაწითლებულ ღოვებს, ატერე-
ცილ სახეს მიხვდენ რომ მას დიდი სიცხე ჰქონდა. ამის-
თანა უცები გავარევარებული სიცხე და უელმი ხრიალი იცის
მსოლოთ ხუნავმა.

ცოლ-ქმარის შიშით თავ-ზარი დაეცათ. საჭირო იქო საჩქა-
როთ ექიმი, მაგრამ ამისთანა სამინელ ავდარში ექიმის მოუ-
ვანა შეუძლებელი იყო. დედ-მამამ მოიკრიფეს გონება, მო-
ნახეს წამლები და ფთხილათ, დაფიქრებით მოჰევენ ავათ-
მეოფის წამლობას. მთელ ღამეს არ მოშორებიან საუკარელ
შეილს, თვალს ადევნებდენ უოველ მის ცვლილებას და
იმედს არ ჰქარებავდენ, რომ ბოლო კეთილი იქნებოდა.

ქარს ისევ ისე გაჭირნდა ზუზუნი, დრო ნელ-ნელა გა-
დიოდა, დედ-მამა თვალს არ ხუჭავდენ, ბავშის ქვეშაცებს
არ შორდებოდენ. გაძღელიც კუთხეში თვლემდა.

დილით უმაწვილებება თითო-თითოთ დაიწეუს გადგიმება. ერთ წამს ატედა ხმაურობა; სან ერთი უძახდა გამდელს, სან მეორე. ფარნაოზი უველასთან სათითაოთ მიღიოდა და
დაბლის ხმით ატეობინებდა მარიკოს ავათმუოფობას.

ისინიც ნელა-ნელა იღებდენ ხელში ტანისამოს და ფეს-აქტეფით გადიოდენ მეორე ოთახში პირის დასაბანათ და ტანთ-ჩასაცმელათ, რომ ხმაურობით არ შეეწუხებინათ საუვარელი ავათმუოფი.

„დედას და მამას მთელ დამეს არ დაუძინა, ალბათ ჩვენი მარიკო მალიან ავათ არისო“, ჩურჩულობდენ უმაწვილები. ისინი კუთხე-კუთხე დადიოდენ და ჩუმ-ჩუმათ ქვითა-ნებდენ. უკელაზე მეტათ სწუხდა ჰატარა ექვსი წლის სანდრო, სულ იმას გაიძახოდა:

— ფუფუა ტკივა, ჩემ მარიკოს! ფუფუაო.

ქარი წამის ჩავარდებოდა და წამის უფრო მალოვანათ გაჭირნდა ზუილი და ვაი-ვაგლახი. დაღამდა. ქარიშმალი უფრო ამოვარდა. უმაწვილიც უფრო შეწუხდა. ხრიალებდა, სიცხით იწოდა, სულს ვედარ იბრუნებდა.

ასე გაიარა დამებ. გათენებამაც არაფერი ცვლილება არ მოახდინა. თითქოს სინათლებ უფრო უწეალოთ დაანახვა დედ-მამას ავათმუოფი მარიკოს მდგომარეობა.

მართა მლივს იღვა ფეხზე, დაღონებული გამოვიდა ოთახიდან და შევიდა პურის საჭმელ ოთახში. ფარნაოზიც უკან გაჭივა, თითქოს ბავშის ტანჯვის უურება ვედარ შესძლეს. მართა მივიდა სატის წინ და ქვითინით ევერებოდა დმერთს შვილის გადარჩენას. ქმარი რაღასაც ბუტიუტებდა. ამ დროს შემოვარდენ ოთახში უკელა უმაწვილები და რა

ნახეს დედა ასე შეწუხებული დაიწეს ერთ-ხმათ ტირილი,
ამის დანახვაზე ფარნაოზმაც კერ შეიკავა ცრემლები.

შეადგისას ქარი ჩავარდა, გამოიდარა. მზის შუქმა გა-
მოანათა. ახლა-კი შეიძლებოდა ცხენიანი კაცის გაგზავნა
ექიმზე. მაგრამ ბედმა გაუღიმა ამ ოჯახს. არ დასცალდათ
ექიმზე გაგზავნა, ის თითონვე მოადგა მათ კარს. მეზობ-
ლათ უოფილიუო და ნათლულების სანახვათ მოსულ-
იუ.

მთელი ოჯახი აღტაცებით მიეგება მეგობარ ნათლია
ექიმს.

მან შესედა თუ არა ავათმეოფუ გაიღიმა.

— რაო, ხუნაგი არ არის?

— სწორეთ ხუნაგია. მაჩვენეთ სიცხე უნახო. თქვენ
კარგათ გიწამლიათ ჩემი მარიკოსივის, სიცხეც თითქმის
გამონელებია. წაბრძანდით, ბატონო მართა, მოისვენეთ, და-
მშვიდეით, მარიკო უკეთ არის.

მართა გავიდა დასამანებლათ, უმაწვილები აუგარდენ ქვე-
შაგებზე, ჩაქუტენ მას და უკელაპ ტკბილათ ერთათ და-
იძინეს.

მეორე დღეს იუ ახალწლის წინა დაშე. მარიკო ისე
კარგათ გახდა, რომ ქვემაცებზე წამოჟდა და როცა ჭით-
ხავდენ გტკივა რამეო, უპასუხებდა:

— აღაფელი, აღაფელი!

ଶାଲାମନ୍ଦ୍ରେ ମତେଳିମା ଓଜାନିମା ତାଙ୍କି ମନ୍ଦ୍ୟାରୀ ଓ ଧୋଇ ଓତାକୁ
ମି, ଶାର୍ଦ୍ଦର୍ଷ ମାରିଥାନ ଓ ମାରିଥାନ-ଫିନ ଯେହାତ ସାମନ୍ଦାତ କେ. ଶ୍ରୀ-
ଲାଲ ମେହାର୍ଯ୍ୟଲୋବା, ମେହାର୍ଯ୍ୟଲୋ ପ୍ରେର୍ଣ୍ଣ-ପ୍ରେର୍ଣ୍ଣ ଶାଖାଶ୍ରେଷ୍ଠ,
ପ୍ରେର୍ଣ୍ଣିଲୀପ୍ରେର୍ଣ୍ଣ, ଗୋଟିନାହୀଁ ଓ କେବା ମିନାହୀଁ କିଲ୍ଲେ ଓ କେବା
ମନ୍ଦ୍ୟାର୍ଯ୍ୟଲାନି ଯୁଗେ ତାଙ୍କାନିତ ଶାଶ୍ଵତର୍ଯ୍ୟଲ ମାରିଯାଇ କାହାତ
ଯାଇନାକୁ, ଏବେ ଏକ-ଏକ ଏକାର୍ଯ୍ୟାବୀର ମନ୍ଦ୍ୟାଶ୍ରେଷ୍ଠରେ ମନ୍ଦ୍ୟାକୁ

ଏବେ. ଶ୍ରୀରୂପାତାମା.

(ଏହାର ରୂପଶ୍ରେଣୀରେ)



ტახტის მექანიდრე და მათხოვარი.

შარქ-ტევენის მოთხოვა.




მათხოვარისა და მექანიდრის დაბადება.

ნელისის ქვეყანაში, ქალაქ ლონდონში, სამასი
წლის წინეთ ერთ მათხოვრის გვარზო განტის ოჯახ-
ში დაიბადა ვაჟიშვილი; ამ ვაჟიშვილს დაარქვეს
თომა. დედას სულაც არ გახარებია ამ ბავშის დაბადება;
საწეალ დედაქაცს იმ ორი ქალიშვილებისთვისაც, რო-
მელნიც თომას წინეთ დაიბადნენ, არა ჭირნდა საოჩო და
მესამეს როგორდა გაზრდიდა, უბედური?..—სწორეთ საუბე-
დუროთ მეუღლა მესამე შვილი — გაიფიქრა დედამ; გაახვია
მონძებში ახალ-დაბადებული, ჩააწვინა სელათ გაკეთებულ
აკვანში, უვლიდა და აწოვებდა მუმუს, თუ-კი მის დამკარ-
მუმუებში ჩადგებოდა რამე. მათხოვარმა მამამ ერთი-კი გა-
დასედა ახალ დაბადებულს და მერე უურიც არ ათხოვა.

სწორეთ იმავე დღეს მეფის დიდებულ სასახლეში მდიდ-
რულ ქვეშაგებში იწვა მეფე გენრის მერვეს მეუღლე და გვერ-
დით ედგა ოქროს აკვანი, რომელშიაც იწვა ახლად დაბა-
დებული მეფის შვილი ედუარდი. ეპელაფერი ისე იყო მო-

წეობილი, რომ მშობიარე მეუღლოთ, მშვიდათ უოფილიერ, არაფერზე არ შეწუხებულიერ; იატაკი რბილი ხალიჩებით მოვენილი, ფანჯრებზე ატლას-დიბა ჩამოვარებული. ამ ახალ-დაბადებულს დიდხანს ელოდებოდენ და ახლა ღვთის წეალობათ მიაჩნდათ იმის მოვლენა. და ის დღე რა დღე-საც დაიბადა მეფის მემკვიდრე უველასთვის სადღესასწაულო დღე იუ. მეფე - მამა ამ დღეს მოელ ქვეყანაზე უველაზე ბედნიერათ გრძნობდა თავს. დედოფალ დედის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, რომ მან შესძინა ოჯახს და ინგლის ტახტის მემკვიდრე.

უცნობნი და ნაცნობნი ქუჩაში ქვეოდენ ერთმანერთს, ულოცავდენ, ჸოცნიდენ და სისარულით ტიროდენ. მდიდარ ოჯახებში და ლარიბ ქოხებში უველა მდეროდა, ცეკვავდა და მხიარულობდა; სამი დღე და ლამე დაუსრულებული ლსინი იუ. მთელ სიხელმწიფოში ერთ კუთხიდან მეორე კუთხემდის მოედო ეს მხიარული აჩავი და უველა ლაპარაკობდა ამ ახალ-დაბადებულ მემკვიდ-



რეზე. ედუარდი იწვა ოქროს აკვანში დიბა-ატლასში. გასვე-
ული. რა იცოდა ახალმა დაბადებულმა, რომ ამოდენა გა-
მოჩენილი დიდ-კაცები მას დახაროდენ და თავს ევლებოდენ,
რა იცოდა ამან, რომ მისმა დაბადებაშ გაახარა და ბედნი-
ერება მოუტანა მთელ ინგლისის ხალხს.

პატარა თომა

ლონდონი მაშინაც დიდი ქალაქი იუო. ასი ათასი მცხოვ-
რებელი იქნებოდა. ქუჩები ვიწრო, ჭუჭეიანი და მიგრებილ-
მოგრებილი იუო; სახლები უსეტესათ ხისა. მეორე სარ-
თული ძირის სართულზე გამოშვერილი იუო და ზემო სარ-
თული კიდევ მეორე სართულზე წინ წამოწეული.

თომას მამა ცხოვრობდა დარიბების უბანში, ერთ გამჭ-
გარტლულ, დაბალ-კერიან და ბნელ ოთახში, მცელ დანგ-
რეულ სახლში; აქ ბევრი სხვა საწეალი ხალხიც ცხოვრობ-
და. მუდამ მთვრალი კაცები და დედაკაცები უვიროდენ და
იგინებოდენ შიგ შეა ქუჩაში. მშეირი და დამონმილი ბიჭ-
ბუჭები მიდიოდენ ხოლმე მოწეალების სათხოვნელათ დიდ
ქუჩებში, სადაც მდიდარი ხალხი ცხოვრობდა.

თომას დები და დედა კეთილი ადამიანები იუვენ, მაგ-
რამ მამა და ბებია იტეოდით ნაძღვილი მსეუები არიანო;
ითვრებოდენ, იგინებოდენ და ცემა-ტექტა გაუდიოდათ. მამას
ქურდობა სელობათ გაეხადა, ბებია მუდამ მოწეალებაზე და-

დიოდა. ჰატიარაობიდან უე თომაც შეაჩეიეს მოწეალების თხოვნას. საღამო ჟამს მოჭეონდა სახლში რასაც მოაგროვებდა; თუ ცარიელი დაბრუნდებოდა, ვაი იმისი ბრალი, მაშინ მამისგან და ბებიასაგან ლანძღვასა და ცემას საზღვარი აღარა ჰქონდა. ღედას ებრალებოდა თომა, თუმცა თითონაც მშეირი იუო, მაგრამ მაინც შეუნახავდა სოლმე გამხმარშურის ლუკმას.



სოლმე. თომამ იმისაგან შეისწავლა წერა-კითხვა და ლათინური ენა.

სწორეთ ბედნიერება იუო თომასთვის მღვდლის ზღაპ-

რებ მამას უნდო-
და თავის სელობაზე
დაეჭინებინა შეილებიც,
მაგრამ ვერას გახდა.

იმავე სახლში, სადაც
იდგა კანტი ცხოვრობ-
და ერთი მოხუცებული
მღვდელი, მამა ანდრია.
უბნის ბიჭები სშირათ
შედიოდენ ამ კეთილ
მღვდელთან და ის და-
რიგებას ამლევდა, ას-
წავლიდა და თან სა-
დილსაც უწილადებდა

რები და წიგნები. ხშირად დაზაღლულ და მშენებ თომას დიდ ხანს არ დაეძინებოდა ხოლმე, ისე გაიტაცებდენ უცნაური ამბები, რომლებსაც ამოიკითხავდა მღვდლის მკელი წიგნებიდან. თივაზე გაწოლილი თომა ფიქრობდა მეფის შვილებზე, სასახლეში რომ ცხოვრობენ, იმათ მდიდარ და შეენიერ საწოლ ოთახებზე; მორთულ კარის-კაცებზე და ლამაზ სეფე ქალებზე და ჰატარა მათხოვარის თვალ-წინ წარმოუდგებოდა საარაჯო-საოცნებო სურათები.

ბოლოს თომამ გამართა ხელმწიფობიას თამაშობა. თვითონ გახდა მეფის შვილათ და მეგობრებს დაურიგა მეფის კარის-კაცების თანამდებობა; მეფებით სცემდა ბრძანებას და იცავდა სასახლის ჩვეულებებს. ამხანაგებს ჯერ ართობდა თომას საოცნარი საქციელი და სიტყვა-ჰასუხი. მერე-კი მისი შიში ჩაუვარდათ გულმი, მიიჩნიეს დიდ ჭევან და ნასწილ კაცათ, ისე მიეგებებოდენ ხოლმე, როგორც ნამდვილ მეფის მემკვიდრეს, თავიანთ მოგონილ კრებებზე სჯიდენ და აწეობდენ სახელმწიფო საქმეებს და თომას ბრძანებას ისე ისმენდენ, როგორც მეფის ბრძანებას.

ამის მეგობარმა სავშებმა თავიანთ დედ-მამას უაშეს თომას ჭევა-გონებაზე და უკელა მოდიოდა რჩევის საკითხავათ. თომა დიდი გამჭრიასობით უკვირდებოდა საჩივარის და არიგებდა უკელას; და მალე ჰატარა მათხოვარის ჭევა-გონებაზე უკელა ლაპარაკობდა.

თომა ცამეტ წლამდის ასე ცხოვრობდა: მუდამ მოწეა-

ლებას თხოულობდა, შავ გამხმარ შურის ლუკმას ლოღნიდა, ცემა-ტუპას იტანდა, მეგობრების ჩსუბს არჩევდა და ლამ-ლამეობით, თვაზე რომ გაწვიბოდა, ფიქრობდა თუ რა მე-უური ბრძანებები გაეცა მეორე დღეს. ხოლო ერთი ფიქრი არ აძლევდა ამ უმაწვილს მოსვენებას: საშინლათ უნდოდა თავისი თვალით ენასა ტახტის მემკვიდრე.

ერთ სუსტიან საღამოს ჯებშიშველა თომა დადიოდა ლონდონის ქუჩებში. წვიმდა, ბურუსი იდგა. თომა წამდა-უწუმ შესედამდა იმ დუქნებს, საცა სანოვაცე იუო გამოვე-ნილი. უოველგვარი გემრიელი საჭმელები მოჩანდა ფანჯრებ-ში, თომას-კი საშინლათ შიოდა. ლამე შევიდა უმაწვილი სახლში, მამამ ჩვეულებრივ მიტექა. თომა დაწვა დასამინებ-ლათ. მილში განადა მორულ უცნაურ ქვეუნებში. საოცარი რამე - ესიზმრა თომას: ვითომ თვითონ იუო ტახტის შემკვიდრე, თავის თავს ხედავდა სასახლის განათებულ დარბაზში, ესმოდა ლუთიური მუსიკა, მორთული მსა-სურნი მმიმე თავის დაკვრით ეგებებოდენ უმაწვილს.

დილით თომას მალიან ადრე გაედვიმა; ოცნებები გაჯე-რენ; მან ნახა თავის თავი მათხოვრის თთახის კუნჭულში; საშინლათ შესწუხდა, ცრემლებმა თვალებიდან გადმოხეთქეს.

ა. წერეთლისა.

(შემდეგი იქნება)





სამნი დანი.

დაღგა შობა-ასალწლის დღესა-
სწაული. მთელი ქალაქი მოძრა
ობაშია, კველა ფაცი-ფუცობს;
კიდულობს სხვა-და-სხვა საჩუქ-
რებს, საშობაო ხის მოსართავებს
და სხვა ათას რამეს.

პატარა ბაკშებიც გულის ფანც.
ქალით ელიან იმ დროს, როდე-
საც დედ-მამა გაუმართავთ მათ
შობის სეს.

მაღაზიის პატრონებიც რაც შეუძლიანთ ცდილობენ
ლამზათ მოაწეონ ფანჯრებში შობის ხის მორთულება, რომ
ჟიდველს თავი მოაწონონ.



ერთ დღი მაღაზიის ფანჯარას, საიდანაც კმალუცათ გა-
მოცულებილი შობის ხის მორთულობა, მიაღვა სამი ჰატარა
ღარიბულათ ჩაცმული გოგონა. და ცნობის მოვარეობით
ათვალიერებდენ კოხტათ გამოწეობილ შობის ხეს.

ორი იმათვანი დღის აღტაცებით უამბობდა მესამეს,
თუ რადა რა ძვირფასი ნივთები იუო ფანჯარაში გამოკიდუ-
ლი. მესამე-კი სიხარულით გაიძახოდა:

— რა მშვენიერი სანახავი იქნება უკელა ეგ! კიდევ
თქვით რამე, ნინა, მაშო! კიდევ, გენაცხათ, კიდევ!

და ისინიც დღის სიამოვნებით ტიტინებდენ და ტი-
ტინებდენ. მათ უკან გახერებულიერ ერთი მდიდრულათ ჩაც-
მული კაცი და გაოცებით შესცემოდა ჰატარა ბავშების ლა-
შარავს. ბოლოს უფროსს ბავშმა მოჰყედა ხელი თავის ორს
ამხანაგს და უთხრა:

— მაშო, კატო! ქარგია გეუთხათ. ახლა სახლში წა-
ვიდეთ.

ბარემ ენანებოდათ მაშოს და კატოს სასიამოვნო სა-
ნახავების თავის დანებება, მაგრამ რა მეტი ღონე ჭირდათ,
რომ არ დამორჩილებოდენ უფროსი დის ბრძანებას.

ბავშები მოძორდენ ფანჯარას. უცნობი კაციც უკან და-
ედევნათ. რამდენიმე ნაბიჯი რომ გადადგეს, უცნობმა დაა-
დო მხარზე ხელი უფროს გოგოს და ჭირხა:

— ჰატარა ქალო! ორნი რომ უამბობდით მაგ თქვენ
მესამე ამხანაგს ფანჯარაში გამოკიდულ შობის ხის მორთუ-
ლობას, განა ეგც იქ იუო? არა ხედავდა?

— ჩვენი ქატო ბრძა არის! ამოოხვრით მიუგო უფროსმა გოგონამ.

მხოლოთ ახლა შენიშნა უცნობმა ჰატარა გოგონას უსიცოცხლოთ გახელილი თვალები.

— იმიტომც დაგვეჭვს, ჩვენი საცოდავი დაიკო, და ვუჩხნით უველას, რასაც ვხედავთ მაღაზიებში: ვუსხნით როგორი დედოფალებია, როგორ არიან ჩაცმულები და ან რანაირი მორთულობაა ჩამოკიდული შობის ხეებზე. უველა ესეები ამას ძალიან ახარებს და ჩვენც ვცდილობთ გასიამოვნოთ.

— განა თქმენ თითონ არა გაქვთ შობის ხე? სიბრალულით დაეკითხა უცნობი.

— დედა დაგვპირდა გაგიწეობთ შობის ხეს, თუ ვექილი გაბრიელიძე მოგვცემს წალების ფულსაო, მამა-ჩემი მეწალეა და აგერ ერთი კვირაა წალები შეუკერა გაბრიელიძეს და ფულს-კი არ იძლევიან, რადგან ის რუსეთშია; თუ არ ჩამოვიდა და ფული არ მოგვცა კერც შობის ხეს გავმართავთ! დაამთავრა მწუხარებით გოგონამ.

— შენ, საცოდავო უსინათლოვ! რას დაინახავ, კიდეც რომ გაგიმართონ შობის ხე? დაეკითხა უცნობი ბრძა ბავშვს და თან შეწუხებული სიბრალულით უსვამდა თავზე ხელს.

— ოხ, კეთილო ბატონო! შესძახა ბრძამ, რომელსაც ძრიელ უხაროდა უცნობის კაცის ალერსიანი ლაპარაკის ურის გდება. — მე ჩემი დები ჩამკიდებენ ხელს და მიმიუვანენ შობის ხესთან, მომცუმენ ხელში მის ტოტს, რომელ-

საც იმისთანა შვენიერი სუნი უდის და ასე მეგონება რომ
უკელავერსა ვხედავ... მხოლოდ ეს არის რომ სანთლისა არა
ვიცი-რა. სრულიად ვერ წარმოვიდგენ ხოლმე სანთელი
როგორ ანათებს. დაუმატა ოხვრით უსინათლობ.

— საწეალო ბავშო! წაიღლაყარავა უცნობმა და გადმო-
ყარა ცრემლები.

— უთხარით მამა-თქვენს, რომ დღესვე მოვიდეს გაბ-
რიელიძესთან და მიიღებს წაღების ფულს. თქვენ-კი, ჩემო კარ-
გებო, მიიღეთ ჩემგან შობის ხის გასაწურბათ ცოტაოდენი
ფული. უთხარით დედას უთუოთ ხეალვე გაგიწუოთ შობის
ხე ამ ფულით, გაბრიელიძემ მოგვცა-თქო. უცნობმა ამოი-
ღო ჯიბიდან ოქროს ფული და ჩაუგო ხელში უფროს ბავშს.

სიხარულისაგან ბავშებმა ვერც-კი მოახერხეს მადლობა
ეთქვათ თავისი კეთილის მუოველისათვის და სირბილით
მოჰქმერცხლეს სახლისაგნ.

მდიდარი მებატონე დაფიქრებული დიდხანს უცქეროდა
ბავშებს, რომლებიც აქეთ-იქით მოსდგომოდენ ბრძა დას,
ჩაეჭიდათ ხელი და სიხარულით მიარბევინებდენ სახლისაკენ.

ს. ციციშვილი.

(რუსულიდან)





კლამიანის და ცხოველების სისტრაფე მოძრაობაში.

A

(გადმოგთებული).

ოგი ადამიანი მეტად სტრაფია მოძრაობაში,
ასე რომ სხვა ადამიანები ვერ შეედრებიან მას
სიარულსა და სირბილში. ამისთანა სტრაფის
ადამიანს ემახდნენ და ემასიან იყრინდასა ანუ შიკრისს.
მკელ ღროში იყრინდებს დიდი მნიშვნელობა ჭრონდათ. მათ
გაუყენებდნენ სოლმე გზასა უოველთვის, როდესაც საჭირო
იყო საჩქაროდ ეცნობებინათ, ან შეეტეოთ რომელიმე ამ-
ბავი. მკელს ღროში იყრინდებს ისევე საჩქაროდ მიჭქონ-
დათ და მოჭქონდათ ამბები და პატარა ნივთები, როგორც
მიაქვსთ ჩვენს ღროში ფოსტის ცხენებსა. საათში იყრინდა
გაირბენდა საშუალო რიცხვით თორმეტს ვერსსა. იუვნენ იმის-
თანა საოცარი იყრინდები, რომელნიც ორს ამოდენა მან-
მილს გაივლიდნენ სოლმე. მაგალითად, ერთი ბერძნი, სა-
ხელად ფილონიდი, ალექსანდრე მაკედონელის იყრინდა,
საათში 26 ვერსს გაირბენდა სოლმე.

ჩვენს დოოში იფრინდებმა მნიშვნელობა დაჭვარებული ამ-
ბების სწრაფი მიტან-მოტანისათვის, ნივთების საჩქაროდ
გადატან-გადმოტანისათვის ასებობენ: ფოშტის ცხენები,
რეინის გზა, ტელეგრაფი, ტელეფონი და ველოსიპედი. უკა-
ნასკნელი ღონისძიება იხმარება დიდს ქალაქებში. ჰარიუში,
მაგალითად, მეველოსიპედე გადაჯდება თავისს ველოსიპედზე,
გააქანებს ქარივით, წინ უსწრობს რეინის გზის მაშინასა,
საათში გარბის ორმოც-სამოც ვერსსა და საოცარი სისტრა-
ფით მიაქვს და მოაქვს ამბავი და ჰატარა ნივთები.

წერილების სწრაფად მიტან-მოტანას ასწავლიან აკრე-
თვე მტრედებსა. დაუფასებელს ხამსახურს უწევენ ამისთანა



მტრედები ადამიანებს ომიანობის დონს. ვსთქვათ მტერი
შემოერტყა უოველი მხრივ რომელსამე ქალაქსა და არ უძ-
ებს იქიდგან არც ადამიანსა და არც რაიმე ამბავსა. მაშინ

მომწევდეულნი მოქალაქენი სწერენ წერილებს თხელს ქა-
ღალდზე, ამენ გაწვრთვნილს მტრედს უელზედ და უშვებენ
საფლა. მტრედი ავარდება სეით ჭავერში, მიიხედ-მოიხე-
დავს და მერმე მიურინავს ან ერთს მხარეს, ან მეო-
რეს. როცა სამშვიდობოს მივა, ჯდება იმისთანა ად-
გილას, სადაც ადვილად მიუდგებიან და მოხსნიან
წერილებსა. დამნახველნი მიდიან მტრედსან, სხნიან
უელიდგან წერილებსა და ტეობულობენ მტრისაგან
გარშემორტყმულის ქალაქის ამბებსა. აჭმევენ, ასმევენ ამ
საუკარელს ფრთხისანსა და დაასვენებენ. ამავე დროს სწე-
რენ წერილებს, ქვეუნის მდგომარეობას აღნიშნავენ, მერმე
მტრედს აბმენ უელზე და უშვებენ. ჭკვიანი ფრთხისანი ხელ-
ახლად ავარდება მაღლა ჭავერში, გაითვალიწინებს ქალაქის
გზასა და გაუქანება მისკენ, რათა დაუუონებლივ მიუტანოს
წერილები და პასუხიც მაღლე წამოიღოს უკანვე. ასეთი დაუ-
ფასებელი საქახაური გაუწიეს საფოსტო მტრედებმა ოც-და-
ათის წლის წინად საფრანგეთის დედა-ქალაქს პარისა, რო-
ცა მას გარს შემოერტყა გერმანიის ჯარი... საფოსტო მტრე-
დი თუმცა უკან ჩამორჩება სისწავე გარეულს მტრედსა,
მაგრამ რკინის გზაზე-კი ერთი ორად უფრო სწავლია და
საათში შეუძლიან გაირბინოს სამოც-და-ათი ვერსი.

დატვირთული აქლემი საათში გაივლის ხოლმე ოთხს
ვერსსა, საჯდომი აქლემი თოთხმეტ-თხუთმეტს ვერსსა. შე-
სანიშნავია, რომ აქლემი სიარულში მეტად გვიან იღლება.

მას შეუძლიან სამი ოთხი დღე ზედი-ზედ ირბინოს და არ დაიღალოს, თუ შეადგისას დასვენება ექმნება. გაჭენებული ცხენი კერ წინ გაუსწრობს ხოლმე გაჭუეულს აქლემსა; მაგრამ მალე იღლება, ნაბიჯს უკლებს და ბევრად უკანა რჩება დაუღალავს აქლემსა...

ზოგი თევზი ისეთი სწრაფია, რომ ორმოცს ვერს გაივლის საათში. კარგი მონადირე მაჯლი საათში გაირბენს ოც-და-ათს ვერსსა, სირაქლემა—ორმოც ვერსსა, არწივი—სამოც-და-ათს ვერსსა, გარეული მოგზაური მტრედი—ას ვერსსა, მერცხალი—ოთხმოცს ვერსსა... ლოკოგინა-კი, ჰელაზე გლახა მოსიარულე, ძლივს გაივლის ხოლმე ნახევარს ადლსა მთელის საათის განმავლობაში...

ი. გოგებაშვილი.



ଅମନ୍ତରାନ୍ତର.

(ଫିକ୍ରମିନ୍ଦିଗୁଣିଙ୍କ ଅତ୍ମ. ମିଶ୍ରମିନ୍ଦିବସାଗାନ).

ଆହାଲ-ଚିଲିସ ଫଳେଶ ଦ୍ୱାଖ୍ରେତ ମେଘେତ
ଏହିତ ବ୍ୟେଲିନ୍ଧାଦୁ ମରମତ୍ରେ ବାଲା;
ପ୍ରେସିଲାଶ ମରିଥିଲାନ୍ତି ଯେ ଅମଦାଗି,
ତେଗିତାନ ମେତ୍ର-କି ଗାମେକାରିଲା.
ତିତିତେଶୁଲ ତୁପାଶ ମାଦିନବଦ୍ରେନ,
ରାତ୍ର-କି ଲମ୍ବେରତିବା ଲୋକ ଦ୍ୱାକୀଲା,
ମାଗରାମ ମାନିନ୍ତ ଏହି ଗାସତିପ୍ରଲାଦି,
କିଲେବେ ଶେମରିହା ପ୍ରାତ୍ରା ମାତ୍ରା;
କାନଲୁହି ମାଶିନ ମିଶିନ୍ଦିରେ
ଦାଦାଲୀନ ରାମ ଗାମନପଥାରିଲା.

—
ଲୋକ ଦା ଲାମ୍ବିଶି ନାରଜେଲ ନିବାରେବା, ନାରଜେଲ
କିଲେବେ ଦା ଦାଦାରେବିଲାନ ସିକ୍ରିଲିଲାମିରିଲି-କି ଏହି-
ତିଲ କମିତ ଲାକାରାକୁଳିଲା.

—
ତାରେଲିଲିବର ତେତରି, କାନ୍ଦିତାକି,
ପ୍ରେସିଲାଶାନ କାତିପ୍ରେମିଲୁଲି,
ପରମାତା କଲିଯର ମିଶିନ୍ଦିଗାର
ମିତିଲ କବିଲେବିଲି-ମିତିରି-ବାର.



ସାକ୍ଷ୍ରମାରଣ କିତକ୍ଷେପି.

ନାହିଁ ଦିଲା କାହିଁବା, ଏହିତି ସାକ୍ଷ୍ରମାରଣି ଦିଲା କିମି ମେହରେ କି ଆହା.
କିମି ବିନ ଆହିଁ ଯେ ମେହରେ?

ହା ହାତୁଳା ହାହିଁବା ମେହିଲେ କିମି କିମି କିମି କିମି କିମି କିମି?

ବିନ ଆହିଁ ମୁଣ୍ଡଜି ମାତ୍ରାକୁଳେ ବେଳି?

ତିଗାଳ ହାତୁଳା ତିଥାଏନ୍?

ଶାରାଦା.

(ନିର୍ମିତିକାଳର ଏତେ କିମି କିମି କିମି କିମି କିମି କିମି).

ଗାଥିନିପାନିଟ ବିନ ଆହିଁ,
କିମି ସାକ୍ଷ୍ରମେ କିମି କିମି କିମି କିମି?
ଶେଖେଦୁଲାହା କାହିଁବା କାହିଁବା,
ତିକିମିଲ କାହିଁବା କାହିଁବା,
ନିକିଯିର କାହାତ ତିକିଲେ କାହାତ
ଦା ମୁହାମ କିମି କିମି କିମି କିମି;
ସାମିନାନାତ ଗାହାପାନି,
ଅସେତି କିମି କିମି କିମି କିମି;
ଏହିତି ଅମାଲା ଅଗିଲେନି,
ଜାହାନ କାହାତ ଦାବିଦୁରିବା;
କିମିଲା ଦା କିମିଲା କିମିଲା
ପୁଣ୍ଠା ଆ ପୁଣ୍ଠା ଆ ପୁଣ୍ଠା... ଶୁଣିବା.



ს ა ა ხ ს ა ლ წ ლ ო.



ნიე-ფერადი
განთიადი,
საახალწლო ბედი-წერა—
ამან ბრძმედით,
ტკბილ იმედით
ყველას გული აგვიძგერა!..

მინალოცი—
ხმა-ნატყორცი—

თითქუ ზეცამ აირეკა,—
ერის გულში,
წამებულში,
განახლების ზარს დარეკა...
—

ცის დასტური,
ეუგდოთ ყური—

თვით დაერთო ქვეყნის სურვეილს:
ტკბილი ხმებით,

ଶ୍ରୀକିରଣ

ପ୍ରସ୍ତରା ପ୍ରସ୍ତରା ଆମ ଫଳରେ ଫୁଲରେ।

ତ୍ୟନ୍ତ ମେଧି—

ଫିନ୍-ମାର୍କିବ୍‌ରେ—

ମାର୍କିଲାଙ୍ଗପାଥି ଓ ମେକ୍‌ପାଥି;

ମାଲିତା ଗର୍ଭନାଥା,

ଗାମରପନନାଥା—

ଶାମେଦାର ସିଲୁପକଳ୍ପା...

ହୃଦୟ ଆମ ମାଲିତ,

ମୃତ୍ୟୁନାଥାର ଅଳିତ


ତ୍ୟନ୍ତ ସିକ୍ଷେତ୍ର ପାଇତ୍ତାତ

ଓ ଆମ ଫିଲ୍‌ମେଧି,

ଗାନ୍ଧାରେଶ୍ଵରୀତ

ଫିନ୍ଦିଲାକ୍ଷ୍ମୀନାଥ!

ଡ. ତନ୍ମିଳ୍ଲାଙ୍କିଳା.





დედის მარჯვენა ხელი.

ულ მაგ ფანჯარაში ზიხარ და სადღაც გაიცეი-
რები, ქალო მარიამ; ნეტა თუ რას ხედავ მაგის-
თანას რომ არ გწყინდება? შეეკითხა მა-
შოს ქეთუნია, პატარა მოახლე იმ პოლ-
შელი ოჯახისა, სადაც ეს ინსტიტუტის-
თვის მოსამზადებლათ იყო მიბარებული.

— რას ვხედავ და რკინის გზის „სტან-
ციას“. აი გაიხედე „მაშინის“ კომლი როგორ მიიკლაქნება, თითონ
მაშინა როგორ მიჩნის, გაიგონე? — რა რიგ დაიჭივლა იმ ოხერმა,
სტანციას რო მიუახლოვდა!

— მერე და რაო? ყოველ დღე სულ აგრეა და აგრე, შენ-კი,
მეტადრე ამ უკანასკნელ კვირაში, ფანჯარას აღარ შორდები. თით-
ქო რკინის გზის მატარებელი თავის დღეში არ დაგენახოს.

— მეც არ ვიცი, ჩემი ქეთო, აიოხერით თქვა მაშომ, — ასე რათ
მოეუხშირე იქით ყურებას. ეს-კი ვიცი რომ, რაც სიცივემ მოუჭირა
და უველა ადამიანი სახლში შეამწყვდია, ჩემი გული უფრო და უფ-
რო დადარდიანდა. ჩემი სახლის ნახევა უფრო და უფრო მომინდა. სულ
მინდა იმ მტკერის ნაპირებს უუყურო, ამ სიშორიდან გაეარჩიო,
თუ საითკენ მიდის.

— ხა, ხა, ხა! გადიხარხა ქეთომ. — აქედან გინდა გაარჩიო
მტკერის მიმდინარეობა?! ასე ამბობენ აქედან სტანციამდინ ვერს ნა-

ხევარი მეტია და თუნდ კიდეც გააჩინა, ნერა რაში გეკნაჭება, თუ მტკვარი საით მიეხეტიალება!

— რაში გეკნაჭება? — რეინის გზის მისელა-მოსელა მინდა და- ვინსომი. თუ მტკვარს დაკუება „მაშინა“ მაშ ჩენი სოფლისკენ მიღის და თუ არა... აქ მაშომ ენაზე კბილი დაიდგა და გაჩუმდა.

— მერე მტკვარს რომ მიჰყება მაშინა, შენ რაო? მომატებუ- ლის ცნობის მოყვარეობით შეეკითხა ქეთუნა და თვალები დააჭყიტა.

— არაფერი! ისე რაღა, თვალს ვაყოლებ და ჩენს სოფელს რო გაურბენს...

— ვითომ შენც თან გაფიყოლიებს რაღა? ხა, ხა, ხა! კიდევ გადიხარხარა გოგომ და საჩქაროთ გაეარდა გარეთ თავისი ჩეეულებ- რიების საქმის გასაკრძობათ.

მაშო-კი ისევ ფანჯარას აეყუდა და ცქერა დაუწყო მტკვრის არე-მარეს, რომელიც ქალაქ გორის მოშორებით პატარა ვორებით შემოფარგლულ მინდობზე მიიკლაკნებოდა და შუადღის ბრწყინვა- ლე მზის სხივებზე ძვირფას ვერცხლის სარტყელიერ პრიალებდა.

პატარა ხანს შემდეგ მტკვრის მარჯვენა ნაპირზე ნაგებ რეინის გზის საღვურთან გაჩერდა ორი სხეა-და-სხეა მხრიდან მომავალი მა- ტარებელი.

მაშოს დაკვირვება აქ უფრო გაორკეცდა. — ნეტა, რომელია ჩეენგნით მომავალი და რომელი ჩვენკენ მიმავალი? დაჭინებით ჰეთიქ- რობდა პატარა ქალი... მაგრამ ამაზე თავს რად ეიმტკრევ, თქვა მა- შომ პატარა დაფიქრების შემდეგ. — ეს ხომ ნამდეილად დაეინახე რომ შუადღისს გორის სტანციასთან ჩერდებიან აქეთურიც და იქითუ. რიც. ბილეთს გრაკლამდინ აეიღებ და იმ მატარებელში ჩავჯდები, რომელიც მტკვრის დაყოლებას მისდევს... გრაკალში-კი კულას ფაე- ტონში ჩავჯდები და პირდაპირ შინ მიმიუვანს. ჩეენ სოფლამდინ ფაე- ტონით სულ ნახევარ საათის სავალია:

ასე გადასწუვიტა ცხრა წლის მაშომ თავისი დიდის ხნის ყოვმა- ნი და ხეალისათვის დაიწყო სამზადისი. ჩაილადა პატარა ბოხჩა საცვ-

ლებით. წიგნები პატუში ჩაიწყო და ოთახის კუნძულში მიმალა. ბიძია ივანეს ნაჩუქარი ვერცხლის მანათიანი ხელცახოცის წევრში გამოჰკრა და ჯიბეში ჩაიდო. ჩავი ამ გადაწყვეტილებას დაადგა, მაშო სრულიად დაშოშმინდა, პირზე ღიმილი მოუვიდა და მუდამ წყნარად და დარბაისლად მჯდომარეობამ, ხტონაობაც-კი დაიწყო; ერთი ორჯელ კიდეც დაიღილინა: „ოხ მერცხალო, მერცხალო საით-კენ მიფრინდები?“ და ამგვარის არა ჩვეულებრივის სიანცით და გამოფხიზლებით, გაოცა თავისი მასწავლებლები.

— მამუსია! დაუძახა სასტუმრო ოთახიდან გასათხოვარმა ქალ. მა დედას, რომელიც სასადილო ოთახში ჩაღასაც ფუსტუსებდა,—არ გიყვირს პატარა მაშუტკას გაღვიძება? ექვსი თვეა ჩვენთან არის და მისი ღილინი პირველად მესმის!

— დღესასწაულების მოლოდინში ოცნებობს, უთუოთ! უპასუნა დედამ ქალს და სიამონებით გაიღიმა,—მართლა და გასაოცარი ბავშვია ეს მაშუტკა. თავის დღე'ში არ გაიღიმებს, არ იცელქებს, უდროოდ დამზნილ დედაკაცა ჰყავს.

ლისოցსკიანთ ოჯახი, სადაც პატარა მაშო იყო დაბინავებული, რიგიანი, განათლებული და შუათანა შეძლების პატრონი ოჯახი იყო. ორი გასათხოვარი ქალი მთელი დღე საქმობდნენ, კითხულობდნენ, ასწავლიდნენ შეგირდებს, ღრო-გამოშვებით უკრავდნენ ფორტოპიანოს და მლერიდნენ. დედა მათი დარბაისელი, გონიერი დედაკაცი იყო და რაც დიასახლისობას დროს არჩენდა, სულ წიგნების და გაზეობის კითხვას ანდომებდა. ოჯახის უფროსი, მამა ქალებისა, სამსახურში დადიოდა, სახლში იშეიათად უხდებოდა ყოფნა და, როცა-კი შინ იყო დიდი და პატარა სიამონებით და პატრეისცემით შეჰყურებდა. უკლანი ცდილობდნენ იმის სიამონებას, იმის კეთილის ღიმილის დანახვას.

ლისოცსკიანთ პატარა ხის სახლი გორის დიდ ქუჩაზედ იდგა და გარშემო ბალი ჰქონდა შემორტყმული. სახლის ექვსი ოთახი დიდის სისუფთავით და ლაზათით იყო გაწყობილი. სასტუმრო ოთახის თეთ-



რო კისაიის ფარდები ფანჯრებზე, მწვანე მცენარეულობა კუნძულებზე, ლამაზი სურათები კედლებზე, ფორტოპიანო და სხვ. მრავალი სახლის მოსართავი ნიეთები, ეკლესიის მიმზიდეულობას აძლევდა ამ საღურს. დიდი ხნის ნამსახური სეიმონა მზარეული და ცაშეტ-თოთხმეტა წლის გოგო ქოთუნა სრულის წესიერებით და დიდის სისუფთავით ინახავდნენ ამ ოჯახის კერას და უჩუმრად ასრულებდნენ მებატონეთა განკარგულებას. ყველაფერს აქ თავისი ალავი ჰქონდა და სუყველაფერს თავისი დრო.

ძრიელი შთაბეჭდილება მოახდინა მაშოზე ამ მუცეულის გაწეს-რიგებულმა ოჯახმა. აქაურმა მყუდროებამ, თანხმობამ ოჯახის წევრთა შორის და საქმიანობაშ, უნებლივთ შეაღარებინა ეს სახლობა თავის ოჯახის განწყობილებასთან და დაალონა, დააფიქრა.

— ნეტა საწყალი დედა-ჩემი ამისთანა ლაშაზ, სუფთა და მყუდ-
რო თჯახში მოათავსა. იქნება მაშინ დაამებოდა რს საშინელი ჯა-
ნის ტკიფილი და შეუწყვეტელი კვერსა-გმინვა „მამუსიასებურ“ ტკბილ
ლიმილად გადაჰქცეოდა? ჰუიქრობდა მაშო.—ზამასაც იქნება ისე ხში-
რათ არ ელაძღვა, არ ესაყველურებინა და „მუჭთა მჭმელი“ არ
დეერქმია იმისთვის.

მეტადრე მაშინ ეთუთქებოდა გული მაშის თავის ოჯახის უწევ-
სოებაზე, როდესაც სალამ-სალამიოებით სასტუმრო ოთახიდან მოის-
მოდა სიცილ-ხარხარი, ოხუნჯობა; სტუმრებთან ტკბილი პასი, რო-
მელშიაც დედ-მამა და შვილები ერთგვარის სიამიენებით იღებდნენ
მოანაწილეობას.—აი ახლაც ფორტოპიანის უკერენ, ტკბილად ზედ
დამდერიან შვილები, დედ-მამა-კი სიხარულით უსმენ, იმათ. — „დედ
კი სუკიველთვის მარტოა, მარტო, თავის ჭუყიინ, გაულესავ ოთახ-
ში და როცა მარა შინ მოვა, ან დალალული სამუშაოდან და ან
ნასეაში საღმე დუქანში, გაანჩხლდება, მაშინვე დედას წასწვდება:—
ჰაი, შე უძლურო, ზარმაცო! ისევ კერას უზიხარ? რითი ვერ გაით-
ხე ევ დამბლა ძვალ-რბილიო. ადე დამიგე ლოგინი, ვერ ხედავ სახლ-
ში მოესულვარ დალალულ-დაქანცულიო“.

— საწყალი დედა! ამოიოხრებდა მაშო აზ მოგონებაზე და ოვალებიდან მდუღარება გადმოსცეიდებოდა. ნეტა მე იქ ვიყვე, რომ მიეკველო, ლოგინიც მე გავშალო, სახლიც დავალაგო, ცეცხლიც დაეანთო, ვახშამიც მოვამხადო! უჩიმოთ რა უნდა ჰქონდა დედამ, ვინ უნდა იყვეს იმის ნუეგში? ლელო მოჯამაგირე? — ის ბატონზე უარესია! მოვა ტყიდან და ლილაცურად სკამზე ჩამოჯდება. „ამა, ქალბატონო, რას მალოდინებთ, ჩქარა ვახშამი მაჭამეთ, ხეალ განთიადისას უნდა ისევ ტყეში წაეიდე!“ — ბრიყვი... განა არ იცის რო დედა აეათმყოფია?.. მართალია მართალს ამბობს, მშიერია, ჭამა უნდა, მაგრამ დედამ რაღა ქნას რომ არ შეუძლიან? მამა ახლა ამაზე დაიწყებს საყედურს... დედა ტირილს, კვნესას... მე-კი აქ ქალბატონივით ეზიეარ, მხა-მხარეულად მომდის ყველაფერი და ის კი... ნეტა ერთი შემახედა ჩვენ სახლში! როგორ ეციება ახლა?! ვინ იცის დედა როგორ კანკალებს და შეშის შემომტანი-კი არაეინა ჰყავს! გული რომ წაუვიდეს მეზობელს ვერაეინ შეატყობინებს მოსაბრუნებლად.

მაშო თუმცა ცხრა წლისა იყო, მაგრამ როგორც ბევრი მწუხარების გამომელელი თავის ხნიერებასთან შედარებით, ძრიელ მგრძნობიერი და შეგნებული ბავშვი იყო, მუდამ მარტოობაში აღზღილი, აეათმყოფი დედის გვერდით, რომელიც ამას ისე უყურებდა, როგორც მეგობარს, თანა-შემწეს, ამხანაგს, რომელსაც უზიარებდა ყოველ თავის გაჭირებას და რომლისაგან მოელოდა დახმარებას და თანაგრძნობას.

ამ მიზეზების გამო, მაშო უდროოთ დადარბაისლდა, გულჩათხრობილი გახდა, ჩვეულებრივ ბავშურ ცელქობაზედ გული აღარ მისდიოდა და არც ეცალა.

— მაშოჯან, მამაშენი მოდის, ჩქარა სუფრა გაშალე, ცეცხლს შეშა შეაყარე. ხომ იცი, გენაცვალოს დედა, თუ სუყველაფერი მხათ არ არის ჯაერს სულ ჩემზე ამოიყრის. შენს მეტი-კი ვინა მყავს პატრონი. მეც ერთი აგური გამიცხელე, გვერდში ჭვალი მაღას,

განძრევას მიშლის. ეტყოდა დედა მაშოს. მაშიც მთელი დღე ტრია-
 ლებდა სახლში, მუშაობდა, ჰყერავდა, ხარშავდა, დედას წამლებს
 უკეთებდა.—ჩემი მარჯვენა ხელი შენა ხარ, ჩემო სიცოცხლე! ეტ-
 ყოდა ხოლმე ტასია მაშოს მისის დაუღალავის შრომით აღტაცებული.
 ღმერთს რომ შენ არ მოველინებინე ჩემს ნუკეშათ, რა მეშველებო-
 და მე საცოდაეს? ოხ, ქვათახევის ლეთისმშობელო, შენ მიცი დღე-
 გრძელობა და ბედნიერება ჩემს პატარა გოგოს, შენ მიანიჭე უკეთესი
 მომავალი და თან გულში ჩაიკრავდა თვეის საყვარელ გოგოს და ზედ
 დააფრქვევდა მღულარე ცრემლებს უბედურის ადამიანისას...

— საწყალო დედა, ამოიოხებდებდა ამ მოვრანებაზე მაშო.—შე-
 ნამდინ ეინ მომახწევინებს? როდის გნახავ კიდევ? ბიძია ივანემ ამ
 ოსტატებთან რო დამაბინავა, ასე მითხრა:—აბა, შეილო მაშიკო,
 ეინძლო შენი „ტარაკუჭობა“ აქაც გამოიჩინო და ჭკვიანი გოგო
 დაჯდე, ბეჯითათ ისწავლოო, მარიამობის თვემდინ აქ იქნები, მო-
 გამზადებენ, რუსულს ისწავლი და შემოდგომაზე ქალაქში ჩავიყვან,
 „ზევდენიაში“ ან „ინსტიტუტში“ მიგცემ. ნასწავლი ქალი გამოხ-
 ვალ და ბიძიას ასახელობო.

— მარიამობის თვემდინ, მარიამობის თვემდინ!? ღმერთო, რამ-
 დენი ხანია. ეინ იცის მანამდინ რა მოხდეს... დედა-ჩემს იქნება რა
 დაემართოს?.. „ცოცხალს კიდევ მომისწრებო“ მეუბნებოდა კანკა-
 ლით აქ წამოსვლის დროს. „ჩემი პატრიონი ვიღა უნდა იყვესო...
 და მაშო საშინლათ ატირდა.

თვალებ-დასიებული, გულ-დამწეარი მაშო ლოგინშ, ჩაწეა და
 საშინელი სიზმარი ნახა: ეითომ ამის დედა ტასია თეთრ კუბოში
 ესვენა და ოთხი ამათი მეზობელი გლეხი, სოფლის ეკლესიისკენ
 მიასვენებდნენ. ტასიას კუბოზე ის ახალი, ლამაზ არშიანა ლეჩაჭი
 იყო გადაფარებული, რომელიც ბიძიამ ფეშქაშათ მოუტანა. ნიკო-
 ლოოზ ლედელი თვისის ხრინწიანისა და გულის-შემწუხებელის ხმით
 გალობდა: „მართალთა თანა განუსვენე უფალო მონასა შენსა “დკოჭლი
 მნათე გიორგიც, უფრო შემაძრწუნებელის ხმით ამავეს იმეორებდა.

დედის მარჯვენა ხელი

მაში გიფიცით მიეკრდა კუბოს, თავი გადაგლიჯა და შიგ ჩო გაშე-
შებული თავისი დედა დაინახა, საშინლათ შესწივლა და გამ აეღიძა.

„მამუსია“ საჩქაროთ შემოეკრდა, დამშეიდება დაუწყო, უალერ-
სა, ათას რამეს დაპირდა და დააჩუმა, მაგრამ ამის შემდე მაში ეკ-
ლარ დამშერდა და რავი იცოდა ჩო ბიძია არასგზით არ წაიყვანდა
აქედან დანიშნულ ვადამდინ, სოფელში გაპარეა გადასწუვიტა. და
რაკი შეიტყო ნამდვილათ, რომ გორის სტანციათან შუადლისას ორი
ტარებელი ჩერდებაო, მეორე დღეს კიდეც გაიქცა.

ლისოვესკიანთ სახლიდან პირ-და-პირ მოჩანდა რკინის გზის სად-
გური, სასეირნოთაც ბევრჯელ ჰყოლიათ მაში მტკერის ხილთან,
საქალაქო ბაღში, რომელიც სტანციიდან სულ რამდენსამე საჭენწეა.

ზოხუშული, ღრუბლრანი დღე ეყო. ყინვა თუმცა ისე ძრიელი
არ იყო, როგორც ქრისტეშობის მიწურულებს შეეფერება, მაგრამ
პატარა ქალი თავის სიფრითანა წამოსასხმში კანკალებდა, უფერჩატ-
კო ხელები, რომლებითაც გულზე მაგრათ ჰქონდა მიკრული თავის
ბოხჩა, ძალზე დევყინა. ცხეირი თითქმის მოაძრა, მუხლები ეკეცე-
ბოდა დაღალულობით, მაგრამ მაინც შეუფერებლათ გარბოდა.

ჯერ შუადღე არ იყო მაში ჩო სტანციასთან მიიჭრა. ბევრი
იტრიალა აქეთ-იქით, საღვურის ფანჯრებში იჭირა, მაგრამ ბილე-
თებს სად ჰყიდდენ ეკრ იპოვნა. აუარებელი ხალხი ტრიალებდა ბა-
ქანზე და მაშიც იმათში გაერია, ყველას თვალებში უყურებდა, თი-
თქო ყველასთვის უნდა მიემართა თხოვნით, რომ ბილეთი ეყიდ-
ნათ, მაგრამ-კი ვერა ჰქონდა და ეგონა შემამჩნევენ, რო გამოპარული
გარ და უკანე გამაპროცენდენო. აგერ შორიდან მატარებლის ჰყავი-
ლიც მოისმა და მაშის-კი ჯერ ბილეთი აღებული არა ჰქონდა. თეთ-
რი მანათიანი ხელში ეჭირა მობლუჯული და არ იცოდა რა ექნა.
გული საშინლად უკანკალებდა, სტანციის ბაქანზე მომეტებული ხე-
ტიალით ძალა სულ ერთიანად წაერთვა და მზათ იყო ღრიალი მო-
ერთო, რომ უცებ ერთ პატარა დაგლეჯილ-დაფხრეწილ ბიჭს წაწყ-
და, რომელიც მაღალი ხმით გაპყიოდა: „ცხელ-ცხელი ჰურები, ცხელ-

ცხელი, გემრიელი, დაბრაწული პურები!“ ბიჭება რო შენიშნა დაღ-
რეჯილი პირი და უკრაური მუდარით მიმართული მაშოს სახე, შე-
ჩერდა და პური მისთავაზა: „იყიდე, გოგო, იყიდე! ჸა, ჩქარა, ჩქარა,
თორე მეორე მატარებელიც მოვა და ხალხი ისე აირევა, რომ გზა-
საც ველარ გაიგნეფ“.

— პური კი არა, ბილეთის ყიდვა მინდა გრაკლამდინ, მიყიდე
გენაცვალე და გროშებს გაჩუქებ. შეხევწნით უთხრა მაშომ ბიჭე.

— ბილეთი?.. პატარა ხანს ჩაფიქრდა მაწანწალა. ბილეთი?.. გა-
ნა უფროსი არავინა გყავს? მარტო მიხეალ გრაკლამდინ?

მატარებლის მოახლოევების ზანზარი ისმოდა, ხალხი აირივ-
დაირია, ყველამ თავის ბარგს წამოახლო ხელი და ვაგონში შესასვ-
ლელად მოემზადა.

— არავინა მყავს, არავინ. მალე მიყიდე ბილეთი. აი წანათი,
ჩქარა ამიღე, გენაცვალე, თორე აქ დაერჩები... პურებს მე დაგიჭერ
მანამ მოხვალ...

— მმეცი... ახლავე აქ გაეჩნდები. უცებ მიაძახა პატარა ბი-
ჭუნამ, პურები მაშოს გადასცა და თითონ საჩქაროზე მოპურუხლა
კასისაკენ. ამასობაში მატარებელიც მოვიდა სტანციასთან, ხალხი სა-
ჩქაროთ შეცვეივდა მატარებელში, მაშიც ტალღამ გაიყოლა. ერთ-
ერთ ვაგონის ფანჯარასთან მიციცულა და იქიდან თვალს არ აშო-
რებდა სტანციის იმ კარებს, სადაც პატარა ბიჭი მიეფარა. მაგრამ
ბიჭი იკვიანებდა. მაშოს გულის კანკალი საშინელებამდინ ავიდა.
უცებ იმ „პოეზის“ რომელშიაც მაშო ჩაჯდა, წინ ჩამოეფარა ახ-
ლათ მოსული მეორე მატარებელი და წინათ გაჩერებული ნელა-
ნელა დაიძრა.

— ვაიძე! შეპყვირა მაშომ და შიშისაგან გაგიქებულმა, მხო-
ლოთ ახლა გაპყარა გაშეშებულის ხელებიდან თავისი ბოხჩა და მე-
პურისგან მობარებული პურები.

— უბილეთოთ რალა ვქნა!!.. რალა ვქნა!!.. რალა მეშვეოლება?!..



გულ-გახეთქილი წიოკობდა პატარა ქალი და თან გულ-ამოსკენილი ტიროდა.

— პატრონი სადა გყავს, პატრონი?.. ეკითხებოდენ აქეთ-იქი-დან მგზავრები.—ნუ სტირი, გეთაყვა, ჩეენ გიპოვნით, არ დაიკარგე-ბი, რომელ სტანციიდან მოხვალ? სად მიხვალ? და სხვა ათას კითხ-ვას აძლევდენ მაშოს ქალები. მაშო კი ეერავის უმხელ და თავის ვა-რაშს და კანკალებდა, ტიროდა.

— სტანცია ქარელი! ბილეთები მოამზადეთ, ბილეთები... მო-ისმა კონდუქტორის ძახილი და მაშო შიშისაგან გულ-გახეთქილი პირქვე დაეცა საჯდომ ფიცრებზე.

— რა იყო, ვინ არის? ეისია? სასტიკათ იკითხა კონდუქტორ-მა, როცა შეიტყო პატარა მგზავრის ამბავი.

— ბილეთი არა გაქვს? ბილეთი არა გაქვს?! შეჰვირა კონდუქ-ტორმა, მძლავრათ დავულო მაშოს ხელები და თითქო მატარებ-ლის ფანჯრიდან უნდოდა გადაეგდო უბედური მოტიჩალი. მაშო გაფითრდა, ერთი კიდევ შეაჭრეოდა და გონება დაეკარგა.

საღამო ფამი იყო, როცა მაშო გონს მოვიდა, აქეთ-იქით მი-იხედ-მოიხედა და გაოცდა. სადაცარ, ვ-სთანა ვარ? ჰეიქრობდა. პა-ტარა ლამფა მყრთალად ანათებდა პატარავე ოთახს. კუნჭულშა მიღ-მულ მაგიდაზე სამოვარი შიშინებდა, მაგიდას გარშემო შემოსხდო-მოდნენ ორი პატარა ბავშვი და მათი დედ-მამა, რომელიც დიდის ალერსით სთავაზობდნენ შეილებს ჩაის და დაბრაწულ კვერებს.

— ჭამე ვენაცვალე, პალუშა, ეუბნებოდა მამა უმცროს ბალლს, გორის სტანციაზე რამდენი ერბინე, რომ მეპოვნა ამათი გამჟიდავი, მარტო გორში აცხობენ ამისთანა გემრიელ ბულკებს...

გორის გახსენებაზე მაშო მთლად გამოეჩკა, ხმაზე კონდუქ-ტორიც იცნო და შიშმა კიდევ ააკანკალა. ის იყო კიდევ გული შეუფერდებოდა, რომ ბავშვების დედას არ შეენიშნა იმის გაჭყოტი-ლი თვალები და შიშით დაბნეული სახე.

— როგორა ხარ, ჩეენო პატარა სტუმარო? უთხრა იმან ალექ-
სიო მაშოს და თავზე ხელი გადუსვა.—მადლობა ღმერთსა! სიცხე
სრულებით აღარა აქვს, მიუბრუნდა ქალი ახლა ქმარსა, მე-კი მეში-
ნოდა შესაყარი არა მოჰკვეს რა-მეთქი და გისაყველურებდა ბავ-
შის მოყვანას.

— აბა, ქალბატონო, მობრძანდი ახლა, ჩაი მიირთეი, ჩემ შეი-
ლებს გაუცანი. ბიჭებო! აბა გაუმასპინძლდით „დამას“. ყველი და
პური, დაბრაწული კვერები მოართვით.

მაშო ქალის ალექსზე ცოტ-ცოტათი დამშეიდლა, ორიოდჯერ
ჩაიც შეხერიპა, მაგრამ ბავშვების მამას-კი კრძალებით შეჰყურებდა.

— რას მიბლებრი? პატარა მოგზაურო, სიცილით უთხრა კონ-
დუქტორმა მაშოს. მხდალი ყოფილხარ, გოგონაე! რისა შეგეშინდა?
მე გაეგებუმრე და შენ-კი გეგონა მართლა გადაგადებდი მატარებ-
ლიდან და ფეხები გაჭიმე!—დაწყეულოს ღმერთმა ეშმაკი, რო იკო-
დე ქალო, ახლა ცოლს მიუბრუნდა კონდუქტორი,—რა შიში ვიკრ-
ძენ, ადამიანო, ვთქვი ეს არის კაცი შემომაკვდა მეთქი და მთლათ
დავიბენი, გონება ამერია. მატარებელი ხაშურის სტანციასთან ისე
გახერდა, რომ ჯერ გონს არ ვიკავ მოსული. აქეთ-იქიდან მომცვევ-
დნენ, გამამხნევეს; „არა უშავს-რაო, შიშისაგან არის დაბნეულიო,
მალე მობრუნდებაო“ და ჩემის სისულელს მსხეერპლით შენკენ გა-
მომისტუმრეს, ჩემო თებრონია.

— მეც-კი შემეშინდა, სწორე გითხრა, მხიარულად მიუგო თებ-
რონიამ ქმარს,—მაგრამ ახლა-კი შიში აღარაფრისა აქვს, სიცხე რაკი
არა აქვს, წამზე მობრუნდება. აბა, შეიღო, ეს თოხლო კეკრცხი გა-
დაყლაპე, ერთი ყლუპი ღვინოც, ნახე როგორ მალე გავიწითლდეს
დატეტკილი ლოყები!

მაშო ჯერ მორცხობდა, კარგა ხანს ხმას ეერ იღებდა, მაგრამ
რაკი დაინახა, რომ რიგიან აღამიანებში ჩააგდო ბეღმა, თანდათან
აჭიჭიყდა. მთელი დღის მშიერ-მწყურევალი ჩაისაც მაღიანათ შეექ-
ცა და ბავშვებსაც დაუახლოედა.

— ფეხშიშველაანთ ქალი ხარ? ტასიასი? უი, დამიღვეს თვალები! მერე, რომ გაიგოს შენი დაკარგვა ი სწორება აღმიანჩა, ხომ მოკედება? თქვა ოცნებიამ, როდესაც მაშომ დაწვრილებით უამბო თავის გამოქვევის და დაკარგვის ამბავი.

— თქვენ იცნობთ დედა-ჩემს? იცით რომ ავათმყოფია? საიდან? მე რატო არსად მინახევხართ? სახარულით და გაოცებით შესძახა მაშომ.

— სწორეთ ბედმა მოგიყვანა, გოგოჯან, ჩვენ კარებზე. დედა-შენი ჩემი ახლო ნათესავია, მეგობარი და ერთად შეზღილი ამხანავი. დიდი ხანია მესმოდა რომ ტასია ავათმყოფობს, რამდენჯერმე მინდოდა იმის ნახეა, მაგრამ-კი ვერ მოვახერხე. როგორ მიხარიან რომ შეილს მე დაუუბრუნებ, გულს დავუშვილებ.

— ამაღამ ტკბილათ დაიძინე, შეილო, გული დაიშოშმინე, ჯანზე მოდი და ხეალ ეს ჩემი ქმარი და შენი მტარეალი, გრაკლის სტანციამდინ მიგაცილებს, იქ ნაცნობ კუჩერს ჩაგაბარებს და მალე დედას გულში ჩაეკერი. რა ამბავში იქნებიან ახლა შენი მასწავლებლები? როგორ გული-გაუსკდებოდათ? შენგნით დიდი უსამართლობაა, შეილო, მაგვარი საქციელი. ამბობ, კეთილნი არიან, კარგი მასწავლებელნიო, მანებიერებდნენო და უველა ამის სამაგიერო შენ რითი გადუხადე?

— დედის სიბრალულმა მიყო, დარცხვენით თქვა-მაშომ. — თქვენ თითონ ხომ იცით რომ სწორებია... მოელა უნდა და ჩემს მეტი-კი არავინა ჰყავს პატრონი... მერე საშინელი სიზმარი ენახე... დედა მომკედარიყო, მარხაედნენ... მაშო აქ საშინლათ ატირდა და თვალების წმენდით დაუმატა: „ბიძია ივანემ-კი მითხრა მერმისამდინ აქედან ფეხს ვერ მოიცვლიო, მერე ქალაქს წაგიყვან პანსიონში მისაცემათაო“...

საღამოს მოსულმა პოეზიმა შეჰქიცილა და გააწყვეტინა სტუმარ-მასპინძელთ ბაანი.

საშინელი ბნელი ღამეა. ცოტაოდნათ კი ჯეც შინელაეს. ჩამი-
ჩუმი არსად ისმის. ფეხშიშველაანთ სახლში-კი ღიღი შესველა-გა-
სელაა. ჩეეულებრივ ბუხართან მიყუჟული ტასიაც-კი მიღი-მოდის
ოთახში, რაღაც სამზადისშია. აი ნინუა პურის-მცხობელმა შემოიტა-
ნა სათონიდან დაბრაწული ბასილები, ბედის კვერები, ნაზუქები და
მაგიდაზე გაშალა გასაციებლათ. პატარა ხანს უკან ლელომ ლანგ-
რით შემოიტანა თეთრათ გაფუფქული გოჭი და ორი გასუქებული,
ჩაკვერცხილი დედალი. ტასიამ ყველაფერი გაშინჯა და თითონაც
ხილის ყუთს მიუჯდა. ნელა-ნელა დაიწყო დიდ ფოდნოსზე ამოლა-
გება საახალწლო საკველეულისა. დაშაქრული ჩურჩხელები, ჩამიჩი,
კომში, ვაშლი, მსხალი, ატმის ჩირი, დამასხის კერკი, ჭარული თხი-
ლი ერთმანეთზე დააგროვა და მერე ბუხართან მიიტანა და ნინუას
დახმარებით დაიწყო ხურჯინის ჩალაგება. ლელო იქვე ლვინის პატა-
რა ტიკს უკრავდა პირს და ქალბატონს ლიმილით უსმენდა დარიგებას:

— ხურჯინი, შეილო, პირდაპირ უფროს მასწავლებელთან
შეიტანე. მოსამსახურებს არ ანდო. ჯერ ნაზუქები და ბედის-კვერე-
ბი ამოალაგე, მერე ხილეულობა დააწყე, ისე რიგინათ და წესიე-
რათ, რომ ერთმანეთში არ აურიო; მერე ქათმები და გოჭი, მერე
ტიკით ლვინო მოუდე გვერდით და მოახსენე ჩენ მაგიერათ მოკითხ-
ვა და მაღლობა, რომ ჩემ მაშოს ისე კარგათ ინახავენ. ეს პატარა
პარკუჭუნაც თითონ მაშოს მიეცი ხელში, ეს ჩემი წერილიც, აი,
უბეში ჩაიდე, არ გააჭუჭყიანო. პირადაც უთხარ, რომ ნუ იწუხებს.
— ენაცვალოს დედა იმის შუჟუნა თეალებს! ეინ იცის რამდენსა ტი-
რის დედის ძუძუებიდან მოგლეჯილი! მაგრამ სწავლისთვის ყველა-
ფერი უნდა დასთოს. უსწავლელად ჩემი მტერიც დარჩენილა!

— შე დალოცვილო და ამოდენა ძღვნის გაგზავნა ვის გაუ-
გონია?! ფულებს ცოტას აძლევს ბატონის ძმა, რომ ამოდენა ხო-
რაგიც ზედ არ დაუმატოთ? სიხარბით თქვა ლელომ და ხურჯინის
თასმებს დაუწყო შეკვრა.

— მაშ უცხო სახლში ბაეშმა რითი უნდა გაიხაროს! ყველას მო-
მადლიერება უნდა...

— ეი ვინა ხართ, მანდ? კარში გამოიხედეთ, მოისმა გარედან
ვიღაცის ხმა და ზედ ძალლებიც ძალზე აყავყავდენ.

— ვინა ხარ? მობძანდი, თქვა ლელომ და საჩქაროთ კარები
გააღო.

— აი, ე რაღაც დეპეშა გორიდან. მოელი დღე ვეძებდით პატ-
რონს და ახლა ძლიერ ვეზირიანთ ყმაწევილმა წაგვიკითხა და გვითხ-
რა იმათიაო — თქვა სოფლის გზირმა და თან კანვერტი მიაწოდა ში-
შისაგან გაშეშებულ ტასიას.

— დეპეშა?! ლმერთო დამიფარე და დამისხენ უბედურებისაგან!
პირჯვრის-გადაწერით თქვა გაფითრებულმა ტასიამ და მუხლებ-მო-
წყვეტილი ტახტზე დაეცა. ვინ წაიკითხაეს, გრიგორიელეთ? მიშოვნეთ
ეინძე წამყითხველი, ჩქარა, ჩქარა, თორემ გავგიჟდები და თან თავით
ფეხამდინ ცახცახებდა.

ლელო, ნინუა და დეპეშის მომტანი გზირი აქეთ-იქით გაიფანტ-
ნენ ტელეგრამის წამყითხველის საშოვნელად. მარტო ტასია დარჩა
სახლში უცნაურის ტელეგრამით ხელში. „გორიდან დეპეშა, გორი-
დან?! ნუ თუ მაშა ავათა მყავს, ნუ თუ...?“ და სიმწარისაგან კბი-
ლებს უჭერდა და მუხლებზე ხელებს იცემდა. ლმერთო, წმიდა ესტა-
ტე ლვაწლით შემოსილო! ნუ მამასწრებ ჩემი ძეირფასის უბედურე-
ბას, ნუ მაჩევნებ იმ-ს სიკედილს, უწინ ჩემი სული მიიბარე... უი,
დაიწყეველოს უსწავლელობა, რომ წაკითხვა არ შემიძლიან, არ შე-
მიძლიან გაეიგო ჩემ თავს რა ამბავია, რა ამბავი...

როდის, როდის მოიკენეს ისევ ვეზირიანთ ყმაწევილი, რომელ-
მაც ტელეგრამის ამგვარი შინაარსი გადასცა ტასიას: „მაშო დაიკარ-
გა, გუშინ დილით ვაგზალზე უნახაეთ ნაციონალებს. მანდ მოეიდა?
გვაცნობეთ“.

— მაშო დაიკარგაო... შესწივლა ტასიამ და მეტის ლელებით

მოქანული, ისედაც სწეული და სუსტი უგონოთ ტახტზე გადა-
იქცა...

— ეი, ვინა ხართ მანდ? კიდევ მოისმა ხმა გარედან და ერთი
წამის შემდეგ სახლში შემოვიდა ალექსანდრე კონდუქტორი და თან
ხელ-მოკიდებული მაშო შემოიყვანა. მაგრამ იმის შემოსველას ყური
არაერთ მიაპყრო, ხალხი გულ-შეწუხებულ ტასის ეხვეოდა და ერთი
ალიაქოთი იყო სახლში.

— წყალი, ძმარი! ჩქარა, ძმარი! ყეიროდენ მეზობელი დედა-
კაცები და ცდილობდენ გულ-შემოყრილ ტასის მობრუნებას.

— დედა, დედა! შეჰყვირა პატარა მაშომ და ორთავ მუხლებზე
დედის-წინ დაეცა. დედა, აქა ვარ, აქა! თვალი გაახილე, შემომხედე,
შემომხედე. შენი ჭირიმე, შემომხედე... მაპატრი...

— ჴა, ჴა... მაშოს ხმაა...? ოდნავ ტუჩების-ნძრევით წამოილულ-
ლულა დედამ და ნელა-ნელა თეალები აახილა. აქა ხარ, ჩემო ძვირ-
ფასო, დაკარგულო... როგორ მიხარიან... აღარ მაკეცები... ვი-
ცოცხლებ შენგით, ჩემო დამტირებელო, ჩემო ნუგეშო, ხელი მო-
შეცი... მართლა აქა ხარ, ჩემ გვერდით, ჩემ პატრონათ... მაგრამ გა-
მოპარეა რად იყისრე?.. რა საკადრისია?

მშ. გაბაშვილისა.





დავით აღმაშენებელი.

I



აფით აღმაშენებელი დაბადა იმ დროს, როდესაც საქართველოში მეფობდა პაპი მისი ბაგრატ მეოთხე. საქართველო იმ დროს საშიშარს მდგომარეობაში იყო. თურქები გაძლიერდენ მის მეზობლათ და ცდილობდნენ სხვა ქვეყნებთან ერთათ ჩენი ქვეყანაც დაეპყრათ. ბაგრატ მეფე თურქებთან ბრძოლით მოლალული გადაიცვალა 1072 წელს და გამეფდა მამა დავითისა გიორგი მეორე. მაგრამ გიორგი მეფე ვერ გამოდგა ისეთი, როგორიც ესაჭიროებოდა საქართველოს. ის იყო და-

շուդյարո, ցաշեցայ և ա Մոհս-ցաշեցը լրաց. մուս և ուստի ու օսառ. ցեծլոյս առ մարդու ցանցից թիւրքիմա, ա՛մբեց կարտաց լուս մժլացրմա զանց պատճենապ, հոմելու պ մունքում է սովորո մերտա ցածլու հրա. ծովույցըն.

ցոռնցու ցամցոյն թիւրքիմ թիւրքի թիւրքի սայարտաց լուս զանց պատճենա նունու յանձնուած, ուանց ունցուանու և ցարդան սեանց- տու յինստացո, մուշցուու յանցու մեցու և գայունու սեցա-դա-սեցա ազգութիւն: ցոռնցու մեցու մալու ցուր մուսերեա մատու ցամցուու զանց մունքուանու սայմու ցատաց ամջունուն. ցանցու մունքու մունքու սեցա-դա-սեցա մամցութիւն և ամնանու ցամցուն: ցոռնցու մեցու ամնուանու սայմու ցատաց ամի մունքու ուանց ունցուանու տացնց բունու սալուսու և համցունուամյ ենու շեմցու կուցու ցանցու մեցու յս մժլացրու մտացարո. մարտալու, ամ ցնունու մեցու մալու և ամցուու ուանց ունցուանու, մացրամ մանց ցուր մուշլուց ունցու լուսու. ունցուանու մցուամցու ցանցու մեցու: ցանցու լուս մունքու նու հանցու եցու և մունքու ցանչու յմուն. ամաս ցարդա մունքու տարկյենու սուլուանու մելույ-մակուն, ցամու պարա տացուսու մունքու և տեղու մունքու լուսու. մելույ-մակուն ունցուանու տացուսու դանցուն և մուն սուրբուուսմեծու առան լուսու տացուսու մամցու ունցու. ունցուանու. մա դանան, հոմ դամու պատճենա մեցու ունցու ունցու պատճենա մունքու ամ ունցու տացուսու դանցու և ցամու պարա սայարտաց լուսու. ցանու սեցու մելույ-մակուն մելույ-մակուն ունցու մամցու մուն դասախցուա, մեցու սայարտաց լուսու. ցանու սեցու մելույ-մակուն ունցու մուն դասախցուա, մաս ցարդա մունքու սամցու ունցու մամցու ունցու ունցուանու լուսու-մակուն.

մելույ-մակուն սայարտաց լուս զանց պատճենա դասուց 48,000 յալու և տուտու ցածրուն և սուան. ցոռնցու մեցու յս չարու դասահ-պ- սա և ցանցու սայարտաց լուս զանց պատճենա. ամուս շեմցու ցոռնցու սայմու տուտ- յու ցամու պատճենա և սայարտաց լուս ցածլու հրանու գիւտու դասախցու. չար ծերմենու մելույ-մակուն ունցու մուն դասախցուա, մեցու սայարտաց լուսու. մունքու յանձնու մամցու պատճենա ցանցու սամցու ունցու մամցու ունցու ունցուանու լուսու-մակուն:

გოლ ბაკურიანისგან ყარსი და მის მიმდგომი ქვეყნები. გრიგოლ ბაკურიანი, ტომით ქართველი, ვიზანტიის მოხელე იყო და მართავდა ყარსისა და მის მიმდგომს ქვეყნებს. თურქების მისევის გამო ვიზანტიის მთავრობაში საუმჯობესოთ დაინახა მიეტოვებინა თავის სამფლობელოები მცირე აზიაში. გრიგოლ ბაკურიანმა თურქებისთვის მიტოვების მავიერ თავის სახელო ქვეყნები საქართველოს მეფეს გორგის გადასცა. მაგრამ, სამწუხარუო, ბევრს ხანს ვერ დატკბა საქართველო მშეიძლიანობით და სამჩღვრების გაფართოვებით.

1080 წელს მაისში თურქებმა ისე აიღეს ყარსი, რომ დაუდევარმა და გაუფრთხილებელმა გიორგი მეფემ, რომელიც იქვე ახლო იყო დაბანაკებული ჯავახეთში, ყველის ციხესიან, ვერა გაიგო რა. ყარსიდან თურქები ყველისციხისკენ გამართენ და მოულოდნელათ თავს დაესხნენ გიორგი მეფეს. მეფე გაიქცა აჭარაში და თურქებს დაუტოვა დიდი დაულა. ამისთანა გამარჯვებით გათამამებული თურქები თიბათვეში კიდევ შემოესიენ საქართველოს, მოედვენ სხვა-და-სხვა კუთხეებს და გაემართენ თეით მეფის სატახტო ქალაქისკენ— ქუთაისისკენ.

ქუთაისში რომ შეიტყეს თურქების შემოსევა საქართველოს არე-მარეში და მათგან დაჭრა სამცხის ციხეებისა და სოფელ-ქალაქების აკლება, ძალიან შეშინდენ. გიორგი მეფე, აჭარიდან აფხაზეთში წასული თურქების ყველისციხესთან თავ-დასხმის შემდეგ, ისევ იქ იმყოფებოდა. შეიკრიბა დიდებულთა რჩევა და გადაწყვიტეს მომზადებულიყვენ მტრის დასახვედრათ. დაგზანეს კაცები ჯარის მოსაწვევათ, მაგრამ თურქები ისეოის სისწრაფით წამოვიდენ სამცხიდან ქუთაისისკენ, რომ მესამე დღეს უკვე მოახლოებული იყვენ ქუთაისზე, როდესაც ქართველი ჯარი ჯერ კიდევ არ მოგროვილიყო. ამ გარემობამ თავზარი დასცა მცხოვრებლებს და დიდებულები ძალიან დააფიქრა. თუ საკმარისი ჯარი არ მოასწრობდა, ქუთაისი უჟეველათ თურქების მსხვერპლი უნდა გამხდარიყო. დიდებულებმა სწრაფათ გაგზანეს ახლო-მახლო სოფლებში ქეცები, რომ სასწრაფოთ წამო-



სულიყვენ სალაშქროთ. მაგრამ თურქები უფრო და უფრო ახლო
მოდიოდენ, მოლაშქრეები-კი ძალიან ნაკლებათ იყრიდენ თაეს. ღი-
დებულებს და მათთან გიორგი ჭყონდიდელს მტრების შემოსევის
მოლოდინი იმიტომ უფრო აწუხებდა, რომ ქუთაისში მათთან იყო
მეფის ერთათ ერთი შეიღლი დაეითი. ამ გაჭირებულს დროს, ცხადია,
იმათ უნდა ეზრუნათ მის უენებლობისათვის და ამიტომ გადაწყვი-
ტეს დაუყოვნებლათ წაეყვანათ ქუთაისიდან და გაეხაზნათ სადმე მი-
უდგომელს ციხეში. თუმცა ამისთანა დროს გონიერის და გამოცდილის
გიორგი ჭყონდიდელის ყოვნა ქუთაისში ძალიან საჭირო იყო, მაგ-
რამ ლიდებულებმა იგი მეფის შეილისთვის უფრო საჭიროთ დაინა-
ხეს და ამიტომ თხოვეს მას, რომ დაეითი გაეხიზნა და გადაერჩინა
მოსალოდნელის უბედურებისაგან. გიორგი ჭყონდიდელმაც დაუყოვ-
ნებლათ შესვა დაეითი ცხენზე და ათის მსახურის ხლებით გაემართა
ზემო-იმერეთს წალელის-თავისკენ, რომელიც მაშინ ითვლებოდა მა-
გარს და შიუდგომელ ციხეთ.

II

გიორგი მეფის მეულლე გადაიცვალა, როცა მის ერთათ ერთი შეი-
ლი დავითი ოთხის წლისა იყო. თავის შეილის აზრდა გიორგი მეფე
მიანდო ჭკვიანს და მაშინდელს მეცნიერებაში განეითარებულს მწიგ-
ნობართ-უხუცესს გიორგი ჭყონდიდელს. მართალია, გიორგი ეპის-
კოპოზი იყო, მაგრამ იგი ერთგვარათ დახელოვნებული იყო, რო-
გორც საღვთო წერილში და საზოგადოთ მაშინდელს მეცნიერებაში,
ისე სამხედრო და სახელმწიფო საქმეებში. აი ამისთანა ამზრდელის
ხელთ ჩაგრძლა დავითი თავის დედის სიკედილის შემდეგ. ამისთანა
ამზრდელის ყოლა დიდი ბელნიერება იყო, როგორც დაეითისთვის
ისე მთელის საქართველოსათვის. გიორგი ჭყონდიდელი მეტათ უკ-
მაყოფილო იყო გიორგი მეფისა, რადგან ხედავდა, რომ საქართვე-
ლოს მაშინდელის მდგომარეობის გასუმჯობესებლათ იყი არას ზრუ-



ნაედა და აჰეთულოდა მხოლოთ თავის სიამოვნებას: ნადირობას, ნადიმობას და ქალებთან დარბაზობას. თავის ერთათ ერთს შეიღს ყურადღებას არ აქცევდა და მთლათ ჭყონდიდელისთვის ჰქონდა მინდობილი მისთვის ზრუნვა. ჭყონდიდელმაც მოინდომა მთელი თავისი ჭყუა, ცოდნა და გამოცდილება ეხმარა, რომ დავითი აეზარდა, როგორც შეეფერებოდა სამეფოს მემკეიდრეს, რომელსაც უნდა ქვეყნის წყლულებისთვის წამალი დაედო და ის გაეკეთებინა, რასაც მისი მამა აფუჭებდა.

საბედნიეროთ, ამისთანა გონიერს ამზრდელს შესაფერო მოსწავლე შეხედა. დავითი იყო ჯანმრთელი და ჭყვიანი ბავში. ამ კეთილს ნიადაგზე გიორგი ცდილობდა გაეფურჩქინა ადამიანის ბუნების ყველა კარგი მხარეები: გულადობა, ცნობის მოყვარეობა, სიბეჭითე, სამშობლოს სიყვარული, სიბრალული, თაედაბლობა, სამართლიანობა და სხვ. დავითის ჯან-ლონის და ვაჟეკაცობის გასაეითარებლათ გიორგი ჭყონდიდელი თავის მოსწავლეს ათამაშებდა და ასეირნებდა სუფთა ჰაერზე, ცხენით ატარებდა, წყალში აცურავებდა, ანადირებდა და სამხედრო ვარჯიშს ამართებდა. ცნობის-მოყვარეობის გასაეითარებლათ იგი სარგებლობდა საზოგადოთ იმ თევისებით, რომელიც ცოტათ თუ ბევრათ შეიმჩნევა ყოველს ბავშში. ბავშების ეს საზოგადო თვისება—ყველაფრის გამოძრება და გამოკითხვა—რა თქმა უნდა, დავითსაც ჰქონდა. დავითი რომ ბავშურს კითხვებს აძლევდა თავის ამზრდელს, იგიც დალაგებით და გასაგებათ უხსნიდა ყველაფერს. ყოველი განმარტება გიორგი ჭყონდიდელისა დავითში იწვევდა უფრო მეტის გაგების სურვილს, რასაც ჭყონდიდელი მშვენიერათ აკმაყოფილებდა. ასე ავარჯიშებდა გიორგი ჭყონდიდელი თავის მოწაფეს, ვიდრე წერა-კითხვას ასწავლიდა. ხოლო წერა-კითხვის სწავლების შემდეგ, იმნაირათ აკითხებდა წიგნებს, რომ დავითს წიგნის კითხვა მოთხოვნილებათ გადაექცა. იმ დროს თავი და თავი საგანი სწავლისა იყო სამღეთო წერილი. ჭყონდიდელმაც პირველათვე საკითხებათ დაბადების წიგნი მისცა დავითს. თან აკითხებდა და თან

თავისით უხსნიდა ძნელს ადგილებს. ებრაელების ისტორიაში, რომელიც აწერილია დაბადებაში ძრიელ შეაყვარა დაეითს საზოგადოთ ისტორია და აუძრა სურვილი საქართველოს და სხვა მეზობელების ქვეყნების ისტორიის შესწავლისა. გიორგი ჭყონდიდელიც სამღვთო ისტორიასთან ერთათ უამბობდა და აკითხებდა საქართველოს და მეზობელის ქვეყნების ისტორიასაც. გონიერს და შეგნებულს მასწავლებელს დიდათ საჭიროთ მიაჩნდა, რომ მის მოწაფეს კარგათ და ზედ-მიწევნით გაეცნო მეზობელის ერების, როგორც ისტორია, ისე იმდროული ცხოვრება, წეს-წყობილება, ჩვეულებანი და სარწმუნოება. მასწავლებელი დიდის აღტაცებით უამბობდა ყველაფერს, რაც სხვა ერებს კარგი და მისაბაძი რამე ჰქონდათ. ის რმას კი არ ცდილობდა, რომ შეეძულებინა დაეითისთვის უცხო ხალხები, არამედ იმას, რომ სწორი და ნამდეილი ცნობა ჰქონდა მათი; პატივისცემით ისხსნებდა მათ კარგს მხარეს იმ აზრით, რომ დავითსაც მიებანა, ხოლო ჰკიცხავდა ცუდს მხარეს იმ განზრახეით, რომ მისთვის იგი შეეძულებინა. ამნაირათ ის არ უძრავდა არც ეროვნულს, არც სარწმუნოებრივს სიძულილს უცხო ერთა მიმართ და პირ-იქით უნერგავდა მათ პატივისცემას.

ერისა და მეტადრე დაბალის ხალხის სიყვარულის დასანერგავათ დავითის გულში, გიორგი ჭყონდიდელი უებარს საშუალებათ თვლიდა მის პირადათ დაახლოვებას და გაცნობას ამ ხალხთან. ამ აზრით გიორგის დაეითი დაჰყავდა საქართველოს სხვა და-სხვა კუთხებში, შეჰყავდა როგორც დიუდულთა ისე მდაბიოთა სახლში, აც-ნობებდა მათ ცხოვრებას, ლხინსა და ჭირსა. სანადიროთ, სათამაშით და საერჯიშოთ დიდებულთა შეილებთან ერთათ გლეხის შეილებსაც იწვევდა და უამხანაგებდა მეფის შეილს.

ამნაირათ უზრუნველათ და უშუალესათ იზრდებოდა და ვითარდებოდა, როგორც სხეულით ისე გონებით და ზნეობით, დაეითი გიორგი ჭყონდიდლის ხელში, ვიდრე თერთმეტის წლისა შეიქნებოდა, ესე იგი 1080 წლამდე, როდესაც მას გადახდა ისეთი შემთხვევა,

თავისით უხსნიდა ძნელს ადგილებს. ებრაელების ისტორია, რომელიც აქერილა დაბადებაში ძრიელ შეაყვარა დავითს საზოგადოთ ისტორია და აუძრა სურვილი საქართველოს და სხვა მეზობელის ქვეყნების ისტორიის შესწავლისა. გიორგი ჭყონდიდელიც სამღვთო ისტორიასთან ერთათ უამბობდა და აკითხებდა საქართველოს და მეზობელის ქვეყნების ისტორიასაც. გონიერს და შეგნებულს მასწავლებელს დიდათ საჭიროო მიაჩნდა, რომ მის მოწაფეს კარგათ და ზედ-მიწევნით გაეცნო მეზობელის ერების, როგორც ისტორია, ისე იმდროული ცხოვრება, წეს-წყობილება, ჩვეულებანი და სარწმუნოება. მასწავლებელი დიდის აღტაცებით უამბობდა ყველაფერს, რაც სხვა ერებს კარგი და მისაბაძი ჩამე ჰქონდათ. ის რმას კი არ ცდილობდა, რომ შეეძულებინა დავითისთვის უცხო ხალხები, არამედ იმას, რომ სწორი და ნამდეილი ცნობა ჰქონდა მათი; პატივისცემით იხსენებდა მათ კარგს მხარეს იმ აზრით, რომ დავითსაც მიებაძნა, ხოლო ჰყიცხავდა ცუდს მხარეს იმ განზრახებით, რომ მისთვის იგი შეეძულებინა. ამნაირათ ის არ უძრავდა არც ეროვნულს, არც სარწმუნოებრივს სიძულილს უცხო ერთა მიმართ და პირ-იქით უნერგავდა მათ პატივისცემას.

ერისა და მეტადრე დაბალის ხალხის სიყვარულის დასაწერებავათ დავითის გულში, გიორგი ჭყონდიდელი უებარს საშუალებათ თვლიდა მის პირადათ დახსლოვებას და გაცნობას ამ ხალხთან. ამ აზრით გიორგის დაეითო დაჲყავდა საქართველოს სხვა და-სხვა კუთხეებში, შეჲყავდა როგორც დიდებულთა ისე მდაბიოთა სახლში, აცნობებდა მათ ცხოვრებას, ლხინსა და ჭირსა. სანადიროთ, სათამაშით და საერჯიშოთ დიდებულთა შეილებთან ერთათ გლეხის შეილებსაც იწევედა და უამხანაგებდა მეფის შეილს.

ამნაირათ უზრუნველათ და უშუალესათ იზრდებოდა და ვითარდებოდა, როგორც სხეულით ისე გონებით და ზნეობით, დავითი გიორგი ჭყონდიდლის ხელში, ვიდრე თერთმეტის წლისა შეიქნებოდა, ესე იგი 1080 წლამდე, როდესაც მას გადახდა ისეთი შემთხვევა,

რომელმაც დიდი ჩაბეჭდილება მოახდინა მის ნორჩის არსებაზე და რომელმაც გამოიყანა იგი ბაეშურის უზრუნველობისა და უშფოთელის მდგომარეობიდან.

III

ქუთაისიდან ისეთის სისწრაფით და ფაცი-ფუცით გახიზენამ და-
ვითი მეტათ დააფიქრა და დააჩაღულიანა. გული უქმაყოფილო შე-
ექმნა, და დაჩაგრულობა იკრძნო. იმას ვერ მოენელებინა, თუ რა-
ტომ უნდა შეშინებოდათ ქართველებს თურქებისა ასრე, ან რატომ
უნდა გაეპედნათ მტრებს ასე დაუსჯელათ და დაუბრკოლებლათ შეუ-
საქართველოში შემოსევა და თვით ქუთაისზე მოსელა. მაშ ჩეენ
მეტათ სუსტები ვყოფილვართ და მტრები-კი გადამეტებით ძლიერ-
ნიო, ასკვნიდა დავითო.

ქუთაისიდან რომ გასახიზნათ ემზადებოდენ, გიორგი ჭყონდი-
დელმა უთხრა დავითს, თურქები ქუთაისისკენ მოდიან და სჯობს,
ყოველის შემთხვევისათვის გავიხიზნეთ აქედანაო. თან ცდილობდა
არ ეგრძნობინებინა ბაეშისთვის შიში, შაგრამ დავითი თვის თვა-
ლით ხელაედა და თავის ყურით ისმენდა იმას, რასაც ჭყონდიდე-
ლი უმაღლავდა. მთელის ქალაქის მცხოვრებლები და კერძოთ სასახლის
მსახურები რაღაც ზარ-დაცემულის სახით და თვალებით გამოიცი-
რებოდენ, ფაცი-ფუციში იყენ და ისეთის კილოთი ელაპარაკებოდენ
ერთმანეთს თურქების მოახლოებაზე, რომ ცხადი იყო მათი გადა-
მეტებული შიში. დავითს აოცებდა, რომ ყველანი ასე შიშობდენ
და საომრათ-კი აჩაენ ემზადებოდა. იმას შეთვისებული ჰქონდა ის
აზრი, რომ მტრები თუ შემოვიდა, ქართველი უნდა წინ დაუხედეს
და ებრძოლოსო. ომის ამბები დავითს ბევრი ჰქონდა გაგონილი,
მაგრამ თვითონ ჯერ არ გამოეცადნა ასე ახლო მტრების მოსელა და
ამიტომ არც წარმოდგენილი ჰქონდა, თუ ასეთს შიშს გამოიწვევდა
მტრების ქუთაისზე მოახლოება. ქართველი ხალხი დავითს მეტათ



მამაცს და გამეღულს ხალხათ ჰყავდა მიჩნეული და, ახლა რომ ასეთს
მდგომარეობაში ხდევდა ყველას, სწინდა და თან სწუხდა. თითო-
ნაც, ამ სურათის დამნახავს, შიში შეეპარა და რაღაც გამოუტკვე-
ველს მდგომარეობაში ჩავარდა. გზაში დავითი უფრო ფიქრებში
იყო გართული და არა ჰქონდა არც ხალისი, არც სურვილი რომ
ეკითხნა თავის ამზრდელისთვის ყველაფერი, რის გაგებაც იმას უნ-
დოდა. გაგებით-კი იმას უნდოდა გაეგო, თუ რა იყო მიზეზი იმისი,
რომ თურქები ასეთის თავისუფლებით და დაუბრკოლებლათ შემოვი-
დენ საქართველოში, აიკლეს და დაიკავეს იმოდენა ციხე-ქალაქები
და პირ-და-პირ ქუთაისისკენ გამოსწიეს; სად იყო ამ დროს მამა მი-
სი გიორგი მეფე, რომ მცრებს წინ არ უხვდებოდა და არ გარეკავ-
და, და ბევრი ამისთანა.

არც მის აღმზრდელს გიორგი ჭუკონდიდელს ჰქონდა დრო მას-
თან სალაპარაკოთ. ისიც ლრმა ფიქრებში და დატოვებში იყო
ჩაგარდნილი. ძალიან აწუხებდა იმას ის გარემოება, რომ იძუ-
ლებული იყო თავი დაენებებინა ქუთაისისთვის იმ დროს, რო-
დესაც მას უკერავე მეტათ ეჭირებოდა დახმარება საქმით თუ რჩე-
ვით. შემოსეულს მტერს დახვედრა უნდოდა, ჯარის მოგროვება იყო
საჭირო, ამ ჯარს მისგან გამხნევება და დალოცვა სჭიროდა. იმის მაგიერ
რომ მტრებთან ბრძოლაში მიეღო მონაწილეობა, ის მოაჯდა ცხენს
და მეფის შეილთან ერთათ მირბოდა გასახიზნათ... მაგრამ არც ეს გა-
ხიზნა იყო უბრალო საქმე. იმან თავი ანება ბრძოლას, მაგრამ სამა-
ვიეროთ სამშეიდობოში და უშიშარს ადგილს მიჰყავდა ერთათ ერ-
თი იმედი და ნუგებში საქართველოსი, მეფის შეილი დაეითი. სხვას
კერ ანდობდა მის წაყვანას, ხოლო მისი დატოვებაც ქუთაისში ამის-
თანა საშიშროების დროს შეუძლებელი იყო. ამიტომ მან აჩარია
დაეწებებინა ქუთაისისთვის თავი და წაეყვანა მეფის წული დაეითი.
მართალია, გიორგი ჭუკონდიდელი ცხენს მიაჭირებდა წალელის-თავი-

საკენ, მაგრამ სული მისი ქუთაისში იყო და გონიერი მისი იქაურის მოსალოდნელს ამბებს დასტრიალებდა.

დილით აღრიან გამოსულები ქუთაისიდან, ჭყონლიდელი და დავითი მხლებლებითურთ, იმ ღამეს გვიან მიეიდენ წალელის-თავში. დაღალული დავითი მაშინვე დაწვა და დაიძინა. მაგრავ ძილშიაც არ მოისვენა მისმა აშფოთებულმა და შეწუხებულმა სულმა და სიზმრათ გარდაიქცა. სიზმარში ხედავდა ვითომ ქუთაისში იყო, თურქების წინამდევ საბრძოლელათ რაზმი და რაზმი ქართველთა შემოლიოდა სოფლებიდან, იყო ხმა ბუჯისა და ნაღარისა, ჰაერში ფრიალებდენ წითელი ღრიაშები და ჯარი მიდიოდა სიმლერით თურქებთან საბრძოლელათ. აი კიდეც შეიყარნენ ქართველები და თურქები, მოხდა ბრძოლა და დაიხოცა მრავალი ხალხი; გათავდა ბრძოლა და დავითი ვერ ატყობს ვინ გაიმარჯვა. აქ გამოეღვიძება დავითს და მიხედება, რომ სიზმარში იყო. ხელ-ახლათ დაეძინება და ნახავს კიდევ სიზმარს. მაგრამ ეს სიზმარი-კი საზარელი იყო. საშინელი კურიანტელია და ბურუსი თვით ქუთაისში. ისმის გმინვა და კიეილი. ქუჩებში დახოცილი ხალხი ჭერეხივით ყრია. დავითი დაღის ქუჩა-ქუჩა და ხან ერთ მკვდარს წამოჰკრავს ფეხს, ხან მეორეს. უცებ მოიხედავს და დაინახავს მალლა აერდნილს ცეცხლის ალს. დავითი გაექანება იმ მხარეს, საითაც დაინახავს ალს. გარბის, გარბის და ხედავს, რომ იწვის თვით მეფის სასახლე. დავითს თვალთ დაუბნელდება და პირებს დაღრიალებას, მაგრამ ამ ღროს გამოეგვიძება და დაინახავს, რომ ესეც სიზმარი ყოფილა. მართალია, სიზმარი გამოდგა, მაგრავ გრძნობდა გულში სიმძიმეს, უკმაყოფილებას და უგუნებობას. მზე კარგა მალლა იდგა და ამიტომ ლოგინიდან წამოდგა. ჭყონლიდელი კარგახნის გაღინებული იყო და სახლის აიგანზე იჯდა ღრმათ ჩაფიქრებული. მეფის შეილის წამოდგომა რომ შეიტყო, შევიდა მასთან და მოიკითხა. დავითს შეზარდა ნანახის სიზმრის თქმა და ხმა არ ამოუღია. პატარა ხანს უკან ჭყონლიდელი და



დაეითო შევიდენ საუზმის მისაღებათ, მაგრამ მადა არც ერთს არ
ჰქონდა. თავის დღეში ეს ორი ერთმანეთის საყვარელი აღამიანი ასე
ჩუმათ, მორიდებით და თითქო უუფლოთ არ ყოფილან ერთათ.
ორივე გრძნობდა ამას და ვერც ერთი ახერხებდა ვერც მეორე ჩვეუ-
ლებრივის სახით შეეხედნათ ერთმანეთისთვის და საუბარი დაეწყოთ.
ეინ იცის, რანაირათ გაატარა ლამე ჭყონდიდელმა და რა ბოლმა აწ-
ვა გულზე!

დავითის გასაჩთობათ და უფრო იმიტომ, რომ თითონ მარტივა დარჩენილიყო საფიქრებელათ, ჭყონდიდელმა დავითი გაატანა სამს მსახურს ცხენით სასეირნოთ წალელისთავის შიღამოებში. ყოველის შემთხვევისთვის თან გაატანა სასმელ-საჭმელიც იმ ფიქრით, იქნება სეირნობაშ დაწყნაროს ბავშით, მაღა მოჰკვაროს და შეაჭმევინოს რამეო.

შუადღეს ალარაფერი აკლდებოდა-რა, რომ დიდის სისწრაფით
მოვიდა ქუთაისიდან მხედარი და მოუტანა კუონდიდელს ახალი ამ-
ბაეი: თურქებმა აიღეს ქუთაისი, გაცარცუეს სახლები და მერე ცეცხ-
ლი მოუკიდესო. ამ უბედურობის ამბის მომტანი რომ ცხენით მო-
ჰქმდობდა, დავითმა და მისმა მხლებლებმა დაინახეს შორიდან. მხლებ-
ლებმა მოახსენეს დავითს, ეს შიკრიკი უნდა იყვეს და ქუთათური ამ-
ბები უნდა მოჰქონდეს ჭუონდიდელთანაო. ამის გამოკინა დავითმა
ერთი წუთაც აზ დაიცადა, შეაკაზმინა ცხენები და წამოეიდა შინის-
კენ ამბის მაღრე შესატყობათ. როდესაც დავითმა ჰკითხა ჭუონდი-
დელს, რა ამბაე მოიტანა მხედარმა, აღმზრდელმა დაწყნარებით და
თავ-შეკაუჭიბით უთხრა თავის მოწაფეს:

— ალსარულებულა ნება ლეთისა! თურქებს დაუმარცხებით ქართველები, დაუჭირით ქეთაისი და დაუწევთ.

ამ სიტყვების გაკონებაზე დავრთს სწორეთ ისე დაუბნელდა თვა-
ლები, როგორც სიჩარში, ცეცხლ-მოკიდებული რომ დაინახა მე-
ფის სასახლე, და მორთო ცხარე ცრემლებით ტირილი. ამის დამ-
ნახავმა ჭყანდიდელმაც ვერ შეიკავა თვეი და მანაც დაიწყო ტირი.

ლი. ამათი მაგალითით მხლებლებსაც აუჩუყდათ გული და შეიქნა საერთო ტირილი. რამდენსამე წუთს გასტანა ამ სანახაობამ. ბოლოს ისევ ჭყონდიდელმა შეიკავა ტირილი, მიიკრა გულში დაეითო და უთხრა:

— ნუ ტირი, მეფის წულო, ნუ ტირი; ყველაფერი უფლის ნებაა. მართალია, თურქებმა დასწევს შენი საყვარელი ქუთაისი და მასთან ააოხრეს მთელი საქართველოც, მაგრამ ღმერთი არ დაგვეოვებს და მალე მოგვივლენს ქუთაისისა და მთელის საქართველოს ანლათ აღმაშენებელსაც.

წრფელის სასოებით ნათქეამა და გულის სილრმიდან ამოსულმა ჭყონდიდლის სიტყვებმა იმავე წუთს დაწყნარეს დაეითოს აჩუყებული გული.

დ. კარიშვაშვილი.



ფიზიკური გეოგრაფია.

პროფესიანი გეოგრაფია.

წინა-სიტყვაობა.



თქვათ ზაფხულს ატარებთ სოფელში. გადაწყვეტილი გაქვთ ერთი დღე გადადოთ სეირნობისთვის. თქვენი ჩეეულებრივი სეირნობა ისაა, რომ ზოგმა მინდერის ყვავილები დაგლიჯოს ან კენჭებს უყა. როს თავი; ზოგი სულ არაფერს არ ეძებს, არც ყვავილებს და არც კენჭებს, ფიქრობს იყიალოს აქეთ-იქით და სულ უბრალო საქმეებს გადააყოლოს გული. აი დანიშნული დღეც. დილა აღრიანათ წამოვარდით ფეხზე იმ ღროს, როცა მზეც არ იყო ამოწვერული. ხედავთ ცა კაშკაშებს ლურჯათ და მზე ნათლათ იყურება. თქვენ სიხარულს საზღვარი არა აქვს... მაგრამ თქვენ ხომ ნასაუზმევს გადაწყვიტეთ სასეირნოთ წასელა. მანამდის-კი კალათების, ბალის დანების და სხვა ამ ღლისთვის საჭირო ნივთების დამზადებას შეუდექით. მაგრამ მშენებირი მზიანი დილა ჰქარგავს თავის ფეროვნებას. ავერა-აქა-იქი ცაზე პატარა ღრუბლებიც გაჩნდენ. პატარა ხანს უკან ღრუბლები გაიზარდენ და შეიკუმშენ. კიდევ პატარახანი და აქა-იქ წვე-თებიც გაღმოცვინდენ; მიუხედავათ ამისა თქვენ მაინც თავს აიმე-დებთ: პატარა წვემა და მალე გადაიღებსო და ამიტომ აღარ იშლით სასეირნოთ მზადებას. მაგრამ, დახე უბედურებას! წვემა არაც თუ

შეწყდა, მოუმატა კიდეც. პატარა წეიძის წვეთები გადიდდენ და უფრო ჩა ჩქარ ჩქარაც ეცემიან დედამიწას; გზების ოლროჩ-ჩოლროებში გუბენები დგებიან. ა'ეთმა სურათმა თქვენ დაგაღონათ. და ჰკარგავთ ყოველსავე იძებს სასეირნოთ წასელისას.

რასაკეირველია, ყოველიც ეს თქვენ არ ვესიამოენებათ, რადგან სრულიად გამზადებული იყავით სასეირნოთ. გულს მაინც ნუ გაიტეთ. შეიძლება ცუდმა ამინდვაც რამეთი გეანუგეშოს და სარგებლობა მოგვიტანოს.

აგერ შუადღემაც მოატანა. ხელავთ ცაშ ცოტათი მოიწმინდა და წეიძაც გადიღო. თქვენ, რალა თქმა უნდა, მოხარული ხართ ჰაერზე გახვიდეთ, მიღინართ კიდეც ახლო-მახლოს სასეირნოთ. აგერ გზის, ფერდოებზე მღერიო ტალახიანი ლელეები ჩამორბიან. თუ თქვენ ნებას მომცემთ ხელმძღვანელობა გავიწიოთ, გირჩევთ მახლობელ მდინარისაკენ გაერსეირნოთ.

აი ჩამდენიშვ ხანი სეელ ბილიკებზე მიედიგართ და ბოლოს ხიდზედაც შევედექით, ასე რომ მდინარეს ზეიდან გადავჩერებიგართ. აბა, რა ცულილება მოახდინა დღევანდელმა დიღმა წეიძამ? გუშინ ისე პატარა მოდიოდა მდინარე, რომ კუნჭების დათელაც-კუ შევეძლოთ; ახლა შეხედეთ, რა მომხდარა! წყალს ძალზე მოუმატნია და დიდის სისწრავითაც მირბის. ჩეენც ხიდიდან დაეუკეირდეთ. როგორც ხედავთ წყალს მრავალი ფოთლები და პატარა ტოტები მოაქვს, ხოლო ხანდახან მოზრდილ ტოტებსა და ხეებსაც მოაცურვებს. აგერ ჩატარა კიდევ ჩალისა და თივის კონებიც, დიღძალი წნელის ღობე; ეს კიდევ არათერი! ხედავთ აგერ იხეიც მოუტაცნია, საცოდაეს წყლის მძლავრი მიმდინარეობისათვის ეერ გაუძლია და თავქეე დაუყოლებია. ყოველივე ეს იმას გვიჩვენებს, რომ მდინარე ნაპირებიდან გადმოსულა და მცხოვრებლებისათვის დიღი ზარალი მიუცია.

შერძლება თქვენ ისიც იფიქროთ, რომ დრო ტყუილ-უბრალოთ დავკარგეთ ამისთანა მკრთალი სურათის დასათვალიერებლათო. ხოლო სანამ ეს სურათი არ შეცელილა, მოღით ერთი ამის შესახებ

თქვენს თავს შეეცითხეთ და დარწმუნდებით, რომ დრო ტყუილათ
არ დაგიკარგავთ.

ჯერ ერთი: საიდან მოაწყდა ამოდენა წყალი მდინარეს? თქვენ
იტყვით, რომ წყალი წვიმამ შემატაო. ეთილი. მაგრამ ამ კალაპოტ-
ში ამოდენა წყალი რანაირათ გაეტია? რატომ წვიმა მიწაში არა
ყონას, არამედ მდინარეთ მიღის? ან წვიმა საიდან წარმოსდგება?
დღეს დილა ადრიანათ ცა მოწმენდილი იყო. შემდეგ გაჩნდენ ლრუბ-
ლები, ხოლო მერე წვიმა, ასე რომ თქვენ იტყვით ლრუბლებმა წარ-
მოშობა წვიმაო. კეთილი! მაგრამ ეს ლრუბლები საიდან-ლა გაჩნდენ?
წვიმას როგორ აკროებენ და შემდეგ დედამიწას როგორ უკზანიან?

მესამე რა მიზეზია, რომ მდინარე ერთი განსაზღვრული
მიმართულებით მიმღინარეობს და არა მეორეთი? რაც უნდა და-
ბალზე იყოს წყალი, ისე რომ ფეხის დაუცველებლათაც შეგეძ-
ლით გადასცლა, წყლის მიმღინარეობას მაინც შეამჩნევთ, შეამჩ-
ნევთ, რომ წყალი კალაპოტში სულ ერთი მიმართულებით მი-
მღინარეობს. ახლაც, კალაპოტი რომ აიქო ამ მომატებული
წყლის ჩქერით, თქვენ ხედავთ, რომ წყლის მიმღინარეობის მი-
მართულება იგივეა, რაც წინეთ იყო. ამა შევიძლიათ თქვათ, რის-
გან მოხდა ესა? — მერე, გუშინ წყალი წმინდა და გამჭვირვალე იყო,
დღეს-კი ტალახიანი და მლერიე. ამა წაიღეთ სახლში ეს მლერიე წყა-
ლი და მთელ ლამეს ჭიქით შეინახეთ. დალაზე თქვენ შენიშნავთ,
რომ იგი დაწმინდავდა და ჭიქის ძირმა თხელი ტურტყლი მოიყენა.
მაშასადამე, ამ ტურტყლს აუმლერევია აღიდებული მდინარე, მაგრამ
ეს ტურტყლი საიდან-ლა გაჩნდა? უეჭველია, რომ ამ ტურტყლს კაე-
შირი უნდა ჰქონდეს დიდ წვიმასა და მდინარის აღიდებასთან. მაგრამ
ეს მდინარე აღიდებულია თუ არა, მაინც-და-მაინც ერთის განსაზღვრუ-
ლი მიმართულებით მიმღინარეობს და ტურტყლიც იქ მიაქვს, საი-
თაც თვე-თ მიისწრავის. ჩვენ რომ ხილზე ვიდექით და წყლის ლელ-
ვასა და ბუბუქს ვაკეირდებოდით მაშინ ჩვენ ერთ რასმეს უნდა ჩა-
ვეფიქრებინეთ: რა დაემართება ამოდენა წყალსა და ტალახს? — ახლა

ისიც მიიღეთ მხედველობაში, რომ ამ ჩეენი მდინარისთანა ასი და მეტიც მიმდინარეობენ ჩეენ მხარეშე, სხვა მხარეებში კიდევ რამდენი, და ყველან მასვე შევამჩნევთ, რაც დღეს ენახეთ. ყველა ეს მდინარეები წვიმისაგან დიდჯებიან, ყველა თავქვე მიეშურებიან და ყველას მიაქვს ცოტა თუ ბევრი ტალახი.—აბა, ახლა სახლში რომელი გადასცენდებით, გავიხსენოთ ჩეენი დღევანდელი დაკვირვებანი: ჩეენ ენახეთ, ზოგჯერ ცა მოწმენდილია და მხეც ბრწყინვალეთ და მხურეალეთ ანათებს, ზოგჯერ კი ცაზე ღრუბლები მიმოდიან; ხოლო როცა ერთდებიან და სქელდებიან, მაშინ წევიმაც წამოვა. ენახეთ აგრეთვე, რომ მდინარე მიმდინარეობს, რომ იყი დიდის წვიმის: ვან ადიდება; როცა ადიდება ტალახისავან იმღერევა კიდეც. ამნაირათ ჩეენ ესცანით, რომ მჭიდრო კავშირი არის ზევით ცასა და ქვევით დედამიწის შორის. დილით ხომ ჩეენ არავითარ ყურადღებას არ ვაქცევდით იმ გარემოებას, რომ ცაში ღრუბლები ერთდებიან, მაგრამ ჯერ მოსალამოებულიც არ იყო, როცა ეს ღრუბლები გახდენ იმის მიზეზი, რომ მდინარე ადიდდა და იტაცებდა ხეებს, ღობებს და სხვათ. ამავე მიზეზს რასაკეირველია შეეძლო დაენგრია ხიდები, წაელევა მინდვრები, სოფლები და ქალაქები, საზოგადოთ დაელუბა ხალხი მთელი თავისი აელა-დიდებით.

ახლა წარილოდგინოთ, რომ თქვენ სადმე ქალაქში, სკოლებთ და არ გქონიათ შემთხვევა გენახოთ იმისთანა სოფლის სურათები, რომელსაც მე აგიწერო; ამ შემთხვევაში, რასაკეირველია, თქვენ შეკიძლიათ იფიქროთ, რომ ყოველივე ამას თქვენთვის დიდი მნიშვნელობა არ აქვს. მაგრამ თქვენ ქალაქის ქუჩებშიაც კი მრავალი რისამეს გაგება შეგიძლიათ წვიმისა და მდინარის შესახებ. აბა, აიღეთ ლამბაქი და მოუყარეთ წვიმის წყალს თავი; თქვენ ხედავთ, რომ ის წმინდაა, ანკარა; ახლა იმავე წვიმის წყალს შეხედეთ მაშინ, როცა ის ქუჩების ოლრო-ჩოლროში მიმდინარეობს; იგი აქ ძალზე ღერიაა და ტალახიანი, მატომ რომ ქუჩებიდან რეცხავს მტკერს და მიაქვს წყლის სადენ რუებში; თვითოვეული რე ამნაირათ

წარმოადგენს აღიდებულ მდინარეს. ამას გარდა თქვენ იმასაც კი შე-
 ამჩნევთ, როგორ მიაქვს წვიმის წყალს ქუჩებიდან ჩალის ნაფლეთეა;
 ბი, პრობკები, პატარა ხის ნაჭრები და სხვა საგნები, სწორეთ ისე
 როგორც აღიდებულ მდინარეს დიღრონი ხები. ამნაირათ თქვენ ქა-
 ლაქშიაც კი შეამჩნევთ, რომ ცაჲე მომხდარი ცვლილება იწვევს
 ცვლილებას დედამიწაზედაც.

— დაფიქრდით ცოტას მაინც და უსათუოთ გაიხსენებთ ბეერს
 სხვა მაგალითებს, თუ ჩვეულებრივი მოვლენანი ყოველ დღიური
 ცხოვრებისა რანაირათა ერთი მეორესთან დაკავშირებული. გვცო-
 დინებათ ისეთი საგნები, როგორიცაა სინათლე მზისა, ღრუბლები,
 ქარი, წვიმა, მდინარეები, ყინვა და თოვლი; თქვენ-კი იმდენათ შე-
 ეჩიეთ ამ საგნებს, რომ ფიქრადაც აღარ მოვდით ჩაუკეირდეთ, მა-
 ზე მჯელობა იქონიოთ. ძალიან ადეილათ შეიძლება ერთ კი წარ-
 მოიდგინოთ, რომ იმ საგნებს შეეძლოთ არსებობა სხვანაირათ, თუ
 არ დღევანდელის სახით. ეს საგნები თქვენ იმდენათ ბუნებრივათ და
 თან საჭიროდაც გეჩევნებათ, რომ გაიკვირვებდით კიდეც ვისმეს რომ
 ეკითხა, მიზეზი მათი არსებობისა. მაგრამ თქვენ რომ კარგა ხანი ცხეთს
 მხარეში გაგეტარებიათ, სადაც არასოდეს წვიმა არ მოდის და შემდეგ
 თქვენს სამშობლოში დაბრუნებულიყოთ და გენახათ ყოველისფრის
 დამაქცევარი წვიმა, როგორიც ჩვენ დღეს ვნახეთ, ნუ თუ ეს მოვ-
 ლენა ახირებულათ არ გეჩევნებოდათ და არ მოინდომებდით გაგეოთ,
 თუ რის მომასწავებელია იგი? ან ერთიც ვნახოთ ცხელი ქვეყნები-
 დან, სადაც ზამთარი არ იყის, გვეწვია ჩვენ აქ სტუმარი—ბავშვი;
 იგი პრეცედათ თავის სიცოცხლეში ხედავს თოვლს და სქელი ყი-
 ნულით დაფარულ მდინარეებს; ნუ თუ გეუცხოვებოდათ, რომ ჩვენ
 სტუმარს, ყოველივე ამით საოცრათ გაკვირვებულს, თქვენთვის ეთ-
 ხოენა, ამისენით რა არის თოვლი, რათ არის მიწა ასე მაგარი
 და ჰაერი ასე ციფი, მდინარენი და ღელეები რათ დაფარულან ყინუ-
 ლითო? როგორა გვონიათ ყველა ამ კითხვებზე მისცემდით პასუხს,
 თუ არა? ეს კითხვებიც ფრიად ჩვეულებრივი და ყოველ დღიურია.



თქვენ რომ ამ საგანს ჩაუთიქრდეთ შეიძლება დარწმუნდეთ, რომ არც ისე ადეილია ამის პასუხი, როგორც თქვენა ვგონიათ. არას უ-
დეს არ ითქვროთ, რომ ჩეეულებრივ მოვლენას თქვენთვის მნიშვნე-
ლობა არ ჰქონდეს. მე მგონია არც არსებობს იმისთვის ჩეეულებ-
რივი მოვლენა, რომელიც თქვენი ყურადღების მიპყრობის ღირსი არ
იყოს და თან არ დაეჯრლდებინეთ, თუ კი ცდილხართ მის გაყებას.

მე მაქეს განზრახეა მოგიწვიოთ ზოგიერთი ამ ჩეეულებრივი
მოვლენის განსახილველათ. არ იუკიროთ ვათომ მე თქვენთვის მინ-
დოდეს მოგასმენიოთ რამდენიმე გაკეთილი, რომელიც თქვენ უნ-
და გაიზეპიროთ ან და გადმოგცეთ რამდენიმე ელემენტარული მეც-
ნიერული ცნობა, რომელიც უნდა დაიხსოვნით. არა, მე მხოლოთ
იმას ვინატრი, რომ თქვენ არ დაკმაყოფილდეთ ყოველივე მით, რაც
ამ პატარა წიგნაკში სწერია, არამედ თქვენი საკუთარი თვალებით
ისარგებლოთ და გაარჩიოთ ის, რაც ხდება საუკბოო საწუთროში,
რის შესასწავლათაც ჩეენს გარეშემო ბევრისაგან ბევრი მასალაა.
არც ერთი გულის გადასაყოლებელი სეირნობა, გართუბა თქვენ იმ-
დენს სიამოენებას არ გაგრძნობინებთ, რამდენისაც თქვენი თვალით
ნახეა და შესწავლა ბუნების ყოველგვარ სანახაობა—მოვლინებისა.
გახსოვდეთ რომ იმ ნაბეჭდ წიგნებს გარდა, რომლებსაც თქვენ სახლ-
ში ან სკოლაში კითხულობთ, არის კიდევ ბუნების დიდი წიგნიც,
რომლის წაკითხვის ნებაც აქვს ყოველ ჩეენებანს, ყრმას გინდა მო-
ხუცს და ვერა წიგნი ვერ გვასწავლის იმას, რაც შეუძლია გვასწავ-
ლოს ამ დიდმა წიგნმა, ესე იგი ბუნებამ.—სასურველი იქნებოდა,
რომ თქვენ ჩაიხედავდეთ ამ დიდებულ წიგნში, რომელიც შეიცავს
ჟარის, მიწის და ზღვის სხვა დასხვა დიდებულ სანახაობას. მარტო
იმით კი ნუ დაკმაყოფილდებით მხოლოთ ეს თუ ის მოვლენა რომ
ნახოთ ან შენიშნოთ; მაგალითათ მე მაქეს სახეში ის ღრია, როდე-
საც თქვენ სეირნობთ მდინარის პარათ. ამ შემთხვევაში არ უნდა
დასტოეოთ უყურადღებოთ ისეთი მოვლენა, როგორიცაა ჭექა, ჭუ-



ხილი ან ნაპირებზე გაღმოსული მდინარე ისე, რომ არ გაიგოთ ჩაი-
მე მათ შესახებ, მანამდის არ დაცხრეთ, სანამ იმ მიზეზებს არ გა-
მოიკულევთ, რომელიც თქვენს გარეშემოა და რომლის ახსნა გწა-
დათ. ამ საშუალებით თვით ჩეეულებრივი საგნებიც საგულისხმი-
ეროთ და საყურადღებოთ გეჩვენებათ; სადაც უნდა წახვიდეთ ყველ-
გან გამოჩნდება მისთანა ჩამე, რაც უკველათ თქვენს ურადღებას
მიიჩიდავს. ამნაირი დაკირვების მიხევთ თქვენთვეს იქნება საუკე-
თსო და უძვირფასები სამკურრო, მუდამ და ყოველთვეს რა ცხოვ-
რების გზაზედაც უნდა იღვეთ.

— შემდეგ ვეცდები იმის ახსნას, თუ რა გვარი კითხვები შეგვიძლია ჩვენ წამოევაყნოთ ამ ბუნების წიგნში ჩაწერილ ზოგიერთი ფრიად მნიშვნელოვანი საგნების შესახებ, განსაკუთრებით ორზედ: პატიჟა და დედამიწაზე. ყველა თქვენანმა უნდა იცოდეს რამე პატიჟ რომლითაც ჩვენ ვსუნთქავთ, აგრეთვე დედამიწაზე, რომელზედაც ჩვენ ვცხოვ-რობთ, ან რა დამოკიდებულება არსებობს მათ შორის. ჩვენმა სეირნობამ ცოტა რამ მაინც შეგვასწავლა მათ შესახებ; სულ მცირე რომ ვთქვათ ის საშუალება მაინც მოვცა ამ სეირნობამ, რომ შეკვიძლია დაუკავშიროთ ერთმანეთს ღობების დაუენა და ეზო გარემოს განადგურება ცაზე ღრუბლების მოვროვებასთან. თქვენ დაგრჩენიათ კიდევ ბევრი სხვა დამოკიდებულების შესწავლა; ამ სხვებსაც რომ შეისწავლით თამამათ შეგიძლიათ ხელი მიჰყოთ მეცნიერებას, სახელდობრ მეცნიერების ღმ დარგს, რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ ფიზიკურ გეოგრაფიას. ის ჩვენ ავეიშეს მიშას და ყოველგვარ მოძრაობას, რომელიც ხდება მის ჩელა-პირზე. ხოლო იმის ფიქრს ნუ-კი გაივლებთ გულში, რომ თქვენ აპირობთ ხელი მოსჭიდოთ ძნელს, ან ინტერეს მოკლებულ საგნის შესწავლას, სრულიადაც არა. თქვენ სულ უბრალოთ ჩაუკინდებით და გაფაციცებით აღევნებთ თვალ-ყურს იმ ცელილებას, რომლებიც განუწავეტლათ ხდება თქვენს გარეშემო, ეცდებით შეიგნოთ აზრი ამ ცელილებისა და ისიც, თუ რა დამოკიდებულება აქვთ ამათ ერთმანეთში.

Ամսագիր



თუმისუში



1903 წლის № XII გამოცანებისა.

გამოცანები: 1) ცხვარი, 2) შეშა, 3) ფერხლი და კომლი,
 4) სელი, 5) სათი.

რებუსი: დედის ტყბილი რძის ჭირიშე
 ძუძუები, ვენაცვალები,
 ეინც მათი გეძო არ იცის,
 ახვეული აქვს თვალები.

გამოვა 1904 წელს

უფლებულ დღიური საპოლიტიკუ. სალიტერატურო გაზეთი

„ი ვ ე რ ი პ“

იმავე სივრცით და სრულის პროგრამით, როგორც 1903 წ.

რედაქცია ყოველს ღონისძიებას იხმარს, რომ გაზეთი გააუმჯობესოს. იმ თანამშრომელთა გარჩა, რომელნიც აქამდე მონაწილეობას იღებდენ, რედაქციას სხვა ჩვენი მწერლებიც დაჰპირდენ დახმარებასა და თანამშრომლობას.

ფასი გაზეთისა მთელის წლით თუმანია. ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება

1904 წლის ხელის-მომწერთ, რომელიც სრულ ფასს შემოიტანენ 1 თებერვლამდე, დაურიგდებათ პრემიათ გრაფ ლ. ნ. ტოლსტოის რომანი „აღდგომა“ („Воскресение“).

5 მანეთათ ტფილისში და 7 მანეთათ ტფილისს გარეშე დაეთმობათ გაზეთი უპრემიოთ: სოფლის მასწავლებელთ, უფასო სამკითხველოებსა, უმაღლეს სასწავლებელთა მოსწავლეთ და ყველა ხელოსანს.

ხელის მოწერა მიღება:

ტფილისში: — „ივერიის“ რედაქციაში (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და „ქართვ. შორის წერა-კითხვის გამავ. საზოგ.“ წიგნის მაღაზიაში (სასახლის ქუჩ., თავად აზნაურთა ქარვასლა).

ქუთასში: — ბეჭანეიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

ბათუმში: — ნიკოლაძის უურნალ-გაზეთების სააგენტოში და კერლაძის წიგნის მაღაზიაში.

საბუნებაში: — პეტრე მაჭავარიანთან.

შოთაპენში: — პართენ ნასიძესთან.

განჯაში: — სოფრონ კანდელაკთან (სადგურზე).

გორში: — ანტონ კასრაძესთან.

ცაგერი ბანცხადებისა:

შირველ გერმაზე — 15 კპ. სტრ., მეოთხეზე — 10 კპ., მთელი გერმაზი გაზეთის და გაზეთისა ცალები მორიგებით.

საფოსტო აღრესი: **ТИФЛИСЪ Редакція „ИВЕРИА“.**

საქმაწელო ნახატებიანი უურნალი განცხადითი დღის

„ჯ ე ჯ ი ლ ი“

წელიწადი მეთხუთმეტე

გამოვა 1904 წელსაც თვეში ერთხელ. უურნალში ორი განცხადილებაა: პატარებისთვის და მოზრდილთათვის.

„ჯ ე ჯ ი ლ ი“ მონაწილეობას მიღებენ ჩვენი საუკეთესო მწერლები. იანგრიდან დაიწყება ბეჭდეა ინგლისელ მწერლის მარკ-ტვენის მოთხრობისა: ტახტის მემკვიდრე და მათხოვარი. წლის განმავლობაში სხვა სტატიებთა შორის იქნება დაბეჭდილი ექვსი სტატია ჩვენი ისტორიიდან.

ხელის მომწერლებს დაურიგდებათ პრემიათ დასურათებული ზღაპრების კრებული.

უურნალი „ჯ ე ჯ ი ლ ი“ მიღებულია თუილისის საეპარქიო და კავკასიის ოლქის სამოსწავლო რჩევებისაგან სასწავლებლების სამკითხველოებში საკითხავათ.

უურნალი „ჯ ე ჯ ი ლ ი“ თფილისში დატარებით ღირს 4 მან. თფილისს გარეშე გაგზავნით 5 მან. ნახევარი წლით 2 მან. 50 კ. ცალკე ნომერი 50 კაპ.

ხელის მოწერა მიღება:

1) თვილისში — „წერა-კითხების გამ. საზოგადოების“ კანცელარია-ში (Дворцовая ул. д. Груз. Двор., № 101), და თვით „ჯ ე ჯ ი ლ ი“-ს რედაქციაში (Артиллер. ул. № 5, ვიზ. Кадетского корпуса).

ფოსტის ადრესი: Вс. Тифлис, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“.

ფურცელის ფასი: ან. თუმ.-წერილისა.

3. 7/100

